ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

20 მარტიდან
ახალი თაობა" +
ყურბან საიდის
ცნობილი რომანი
ალი და ნინო"
$ კფჰბ



js[if,fsb7 @! vfhnb7 @)!@ 168 (5758) afcb5 #) stshb

# ირაკლი ალასანია: ხელისუფლება ბანდფორმირებების შექმნას თბილისშიც აპირებს"

ოპოზიციის ლიდერმა დაპირებული კომპრომატები გამოაქვეყნა

გვ. 2



## აკაკი ბოხოხიძე: აშშ-ის ელჩი საქართველოს ხელისუფლებას დირექტივას ვერ მისცემს"

დაუპირისპირდა თუ არა საქართველოს ხელისუფლება ამერიკას

გვ. 3





## ნინო ბურჯანაძე: ურეიტინგო რომ ვიყო, ჩემზე ამდენს არ ილაპარაკებდნენ"

გვ.4

რას საყვედურობს ოპოზიციას პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე

## ჯონდი ბაღათურია: მთავრობა ახალი დანაშაულის ჩასადენად ემზადება"

გვ.3





ნაციონალებმა მინისტრთა კაბინეტს ნდობა გამოუცხადეს

## პაატა ჯიბლაძე: არჩევნების გამყალბებელი ქიაბერაშვილი მინისტრი არ უნდა იყოს!

გვ.6



## პოლიტპატიმრებს მალე გავათავისუფლებთ!

გვ.5

ჩემს მეუღლეს იარაღი დაკავების დროს ჩაუდეს



## გიორგი ცაგარეიშვილი: საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, ბეჟაშვილს მითითებებს ადეიშვილი ინტერნეტით უგზავნის"

გვ. 4

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
გფუფჯხჯ
* კფჰბ
&ვფჰნბლფყ




ISSN 1987-9385
9 771987 938006

**2** გამოკითხულთა 39,5% მიიჩნევს, რომ ივანიშვილის განცხადებები ოპოზიციის წარმატებებზე ნეგატიურად აისახება

**6** დილმის მასიველი მანიაკი არასრულწლოვანი გოგონა აღმოჩნდა

**2** ახალაია ალასანიას ურჩევს, ბოდვას შეეშვას"

**7** სამხედრო სარეზერვო სამსახურის ახალი კონცეფცია უკვე მომზადებულია

# ირაკლი ალასანია: ხელისუფლება ბანდფორმირებების შექმნას თბილისშიც აპირებს“

## ოპოზიციის ლიდერმა დაპირებული კომპრომატები გამოაქვეყნა

ნათია ხურცილავა

**ირაკლი ალასანიას სკანდალურმა განცხადებამ, სამეგრელოს რეგიონში შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.**

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა საგანგებო პრესკონფერენციაზე კვლავ გაიმეორა იგივე განცხადება და აღნიშნა, რომ ინფორმაცია ერთგული ხალხისგან აქვს. თუმცა, მან კონკრეტული ინფორმაციის განსაჯაროებისგან თავი შეიკავა. ალსანიას მტკიცებით, სააკაშვილის უშუალო მითითებით დასავლეთ საქართველოში რამდენიმე თვის განმავლობაში შეიარაღებული ფორმირებები ყალიბდებოდა. — აბსოლუტურად საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ შეიარაღებული ფორმირებები განსხვავებულად მოაზროვნე პოლიტიკოსების, მათი მხარდამჭერებისა და აქტივისტების დევნისა და დაშინების გაგრძელებისთვის იქმნება. საჭიროების შემთხვევაში კი მათი ფიზიკური ანგარიშსწორებისთვისაც. სადაც ჩემს ქვეყანას უჭირდა, ყოველთვის იქ ვიყავი. მათ შორის, იარაღით ხელში საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ პოლიტიკაში მოსვლის დღიდან, ჩემს თანაგუნდელებთან ერთად, საქართველოში ვცდილობთ დავამყაროთ მართლაც ისეთი პოლიტიკური კულტურა, რომელიც ხელისუფლების ცვლილებას მხოლოდ ერთადერთი გზით — სამართლიანი არჩევნების გზით განახორციელებს, — განაცხადა ალასანიამ.

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი აცხადებს, რომ ხელისუფლება და პრეზიდენტი არ იზიარებს არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილების პრინციპს.

— სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება და მიხეილ სააკაშვილი ამ ფუნდამენტურ პრინციპს არ იზიარებს. მართლაც შემაშფოთებელია, რომ სააკაშვილის უშუალო მითითებით დასავლეთ საქართველოში რამდენიმე თვის განმავლობაში ყალიბდებოდა შეიარაღებული ფორმირებები. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, ჩვენს ქვეყანას რა მოუტანა შეიარაღებული ფორმირებების შექმნამ. 90–იან წლებში ვერც სახელმწიფო და ვერც საზოგადოება ასეთი ჯგუფების შექმნას წინ ვერ აღუდგა და სამოქალაქო დაპირისპირება მივიღეთ, რამაც ტრაგიკული შედეგები მოუტანა ჩვენს ქვეყანას, — აღნიშნა ალასანიამ.

„თავისუფალი დემოკრატების“ გადაწყვეტილებით, მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია სამეგრელოში უკანონო შეიარაღებული ჯგუფების შექმნასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე საჯარო არ გახდება და ის დაუყოვნებლივი რეაგირებისთვის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაეგზავნება.

ამის შესახებ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

მისი განმარტებით, მსგავსი გადაწყვეტილება სახელმწიფოებრივი ინტერესიდან გამომდინარე მიიღეს, რადგან ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებულია და შესაძლოა, ეს ინფორმაცია გამოყენებული ყოფილიყო საქართველოს წინააღმდეგ.

— დღეს საქართველო უკიდურესად დაძაბულ, პრაქტიკულად სამხედრო დაპირისპირებაში იმყოფება მეზობელ ქვეყანასთან, ჩვენი ტერიტორიების საგრძნობი ნაწილი ოკუპირებულია, გადაწყვეტილებას ვიღებ, რომ საჯარო არ გავხადო ეს ინფორმაცია, მაგრამ ამ ინფორმაციას დღესვე ვუგზავნი საქართველოს უშიშროების საბჭოს სწრაფი, დაუყოვნებლივ რეაგირებისთვის, — აცხადებს ირაკლი ალსანია. საინტერესოა, როგორი იქნება უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით? როგორ უპასუხებს ალსანიას ბოკერია?



ალასანია ბოკერიასგან უახლოეს პერიოდში ელის პასუხს. ალასანიას განცხადებით, „თავისუფალ დემოკრატებს“ გააჩნიათ სრული ინფორმაცია ამ დაჯგუფებების დისლოკაციის, უკანონო შეიარაღებისა და დაფინანსების შესახებ, რომელიც მათ შეიტყვეს იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც გული შესტკივათ ქვეყანასა და მის მომავალზე.

როგორც ალასანიამ აღნიშნა, ეს ინფორმაცია თვეების განმავლობაში გროვდებოდა და ხდებოდა გადამოწმება. დღეს კი შეუძლია სრული პასუხისმგებლობით განაცხადოს, რომ მიხეილ სააკაშვილის უშუალო დავალებით, დასავლეთ საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბება. ალასანიას განცხადებით, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ ეს ფორმირებები იქმნება განსხვავებულად მოაზროვნე პოლიტიკოსების, მათი მხარდამჭერებისა და აქტივისტების დაშინების, დევნის მიზნით და საჭიროების შემთხვევაში, ფიზიკური ანგარიშსწორებისთვისაც. ირაკლი ალასანიას მტკიცებით, სამეგრელოში აბსოლუტურ ძალაუფლებას ახალაიების კლანი ფლობს — როლანდ ახალაია, რომელიც რეგიონის პროკურორია და მისი ვაჟები, რომელთაგან ერთი თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობს, მეორე კი შინაგან საქმეთა სამინისტროში ქვედანაყოფებს აკონტროლებს. როგორც ალასანიამ აღნიშნა, სწორედ ახალაიებს დაავალა სააკაშვილმა მსგავსი ფორმირებების შექმნა, მათ კი შესაბამისი დავალებები მისცეს კონკრეტულ პირებს, რომლებიც გაფორმებულები არიან სამართალდამცავ სტრუქტურებში. მისი ცნობით, ეს პირები არიან: რომან შამათავა, ნუგზარ ფანგანი, სერგო უბილავა, ფრიდონ შენგელია, თორნიკე მალაზონია, კობა თოდუა, მამუკა იოსავა, ზაზა ჯანჯღავა, ზვიად გაგუა და დავით დარსმელიძე.

— მათი დიდი უმრავლესობა არც ერთი ლოგიკით არ უნდა იყოს რეზერვის მომზადებაში ჩართული. ისინი სხვადასხვა სამართალდამცავ სტრუქტურებს წარმოადგენენ. სწორედ ახალაიებს დაავალა მიხეილ სააკაშვილმა ამგვარი ფორმირებების ჩამოყალიბება. თავად ახალაიებმა კონკრეტული დავალებები მისცეს ამ ადამიანებს. ეს პიროვნებები კონკრეტულ სამართალდამცავ სტრუქტურებს წარმოადგენენ. ისინი აკონტროლებენ, აიარაღებენ და აფინანსებენ ამ შეიარაღებულ ფორმირებებს. ჩვენ გვაქვს პატრიოტი ქართველებისგან, საზოგადოების წარმომადგენლებისგან, ჩვეულებრივი მოქალაქეებისგან მიღებული არაერთი ინფორმაცია, რომელიც გადამოწმებულია და გაგვაჩნია სრული დეტალური ინფორმაცია მათი დისლოკაციის, შემადგენლობის, შეიარაღებისა და დაფინანსების შესახებ, — აცხადებს ირაკლი ალასანია.

ალასანიამ დაჯგუფებების წევრებს მიმართა და განაცხადა, რომ მათი უმრავლესობა პატრიოტია.

— ეს ის ბრძოლა არ არის, სადაც სააკაშვილს უნდა გაჰყვეთ. ის გამოიყენებს თქვენს ძალას საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. მას უკვე ეშინია არჩევნების მოსალოდნელი შედეგების, — ამბობს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი.

ალასანია ამბობს, რომ მისი მიზანი სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაა.

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის თქმით, ეს დაჯგუფებები არ წარმოადგენენ რეზერვისტებს, რადგან რეზერვისტების ფორმირების წესი განსხვავებულია. — ეს ჯგუფები არ წარმოადგენენ რეზერვისტთა ჯგუფებს. ძალიან კარგად ვიცი, შეიარაღებული ძალების რეზერვები როგორ უნდა ყალიბდებოდეს. ეს ადამიანები დარეგისტრირებულები უნდა იყვნენ. არ უნდა გადაადგილდებოდნენ შეიარაღებით. არ უნდა იღებდნენ ხელფასს. ეს არის რეზერვის შექმნის პრინციპი. სამწუხაროდ, ეს დაჯგუფებები, რომლებიც ჩამოყალიბდა, ექვემდებარებიან კონკრეტულ სამართალდამცავ ძალებს და არა შეიარაღებულ ძალებს. მათი ერთადერთი მიზანია, რომ ჩემს მშობლიურ კუთხეში, სამეგრელოში და სხვა რეგიონებში არჩევნებზე მოსახლეობას არ მისცენ თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება და არ მოხდეს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. არ უნდა დავუშვათ სამოქალაქო დაპირისპირება. ჩვენი იარაღი პრევენციაა, საზოგადოების ინფორმირება და სწორედ ამიტომ გავაკეთე ეს განცხადება. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ სამართლებრივი სივრციდან გავიდეს ხელისუფლება. ჩვენ არჩევნებისთვის ვემზადებით, — აცხადებს ალასანია. ალასანიას ცნობით, სამეგრელოში საუბარია 500-მდე ადამიანზე, რომლებიც ამ დაჯგუფებებში არიან. მათგან ნაწილი მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში, ნაწილს კრიმინალური წარსული აქვს და ნაწილს კი მატერიალური დაინტერესება.

ალასანიამ დაჯგუფების წევრებს მიმართა, რომ ეს არის ბრძოლა, სადაც სააკაშვილს არ უნდა გაყვნენ, რადგან ის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენებს მათ. ოპოზიციონერმა ლიდერმა ასევე მიმართა მიხეილ სააკაშვილს, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ იარაღი პრევენცია და ინფორმაციის საჯაროობაა. — არ არის საჭირო ისტერიკა. პირადად მინდა ვუთხრა, სასწრაფო ზომები მიიღოს და დროზე დაშალოს ეს ბანდფორმირებები. ჩვენ მხოლოდ არჩევნების გზით გვინდა მისი შეცვლა, — განაცხადა ალასანიამ.

ალასანიას განცხადებით, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მსგავსი დაჯგუფებები თბილისში იქმნება, რის შესახებაც საზოგადოებას ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ აცნობებენ.

ირაკლი ალასანიას ბრიფინგს საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, თუმცა „თავისუფალ დემოკრატებს“ კონკრეტული ინფორმაცია შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ მათთვის არ გადაუციათ.

ალასანიას განცხადებით, დიპლომატებს, დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნებათ ეს ინფორმაცია უშიშროების საბჭოდან გამოითხოვონ.

ირაკლი ალასანიას განცხადებაზე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, ჯონ ბასმა კომენტარი გააკეთა. ნებისმიერი ბრალდება, რომელიც კეთდება წინასაარჩევნოდ და უკავშირდება ძალადობის გამოყენების შესაძლებლობას ან მის წინასწარმეტყველებას, საჭიროებს ყურადღების მიქცევას.

— ჩვენ ყველა მხარესთან ნათლად, ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ არ არის ძალადობის ადგილი კონკურენტულ საარჩევნო ციკლში, დემოკრატიულ საზოგადოებაში და ყველა მხარემ უნდა უზრუნველყოს ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი პროცესები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ძალადობრივი გარემოს შექმნა. მოვუწოდებ ყველა მხარეს, პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ საკითხს, რაც გულისხმობს, რომ არ ისაუბრონ ისეთ ბრალდებებზე, რომლებიც არ იქნება ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ფაქტებით გამყარებული, — განუცხადა ჯონ ბასმა ჟურნალისტებს.

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ რამდენიმე დღის წინ, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ დასავლეთ საქართველოში ხელისუფლება შეიარაღებულ ფორმირებებს აყალიბებს.

— სანამ არ არის გვიან და არ მიგვიღია ახალი ჰომსი (სირია) ზუგდიდში ან საქართველოს სხვა რომელიმე კუთხეში, მოგმართავთ, დაიწყეთ მოქმედება, — ასე მიმართა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს ალასანიამ.

### გამოკითხულთა 39,5% მიიჩნევს, რომ ივანიშვილის განცხადებები ოპოზიციის წარმატებებზე ნეგატიურად აისახება

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 39,5 პროცენტი მიიჩნევს, რომ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის მიერ „სახალხო კრებასთან“ შეხვედრის დროს გაკეთებული განცხადებები ოპოზიციის შემდგომ წარმატებებზე ნეგატიურად აისახება.

საპირისპორო მოსაზრებას აფიქსირებს გამოკითხვის მონაწილეთა 35,8 პროცენტი, 24,7 პროცენტს კი — დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

რამდენიმე კვირის წინ „სახალხო კრებასთან“ შეხვედრაზე ივანიშვილმა 26 მაისის მოვლენებზე ისაუბრა და „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის მისამართით განაცხადა, რომ ადამიანმა პრიორიტეტების განსაზღვრა უნდა შეძლოს, თუ საერთო საქმეს ვერ ეხმარება ისეთი პოზიცია უნდა აირჩიოს, რომ არ დააზიანოს მაინც ის. აღნიშნულ განცხადებებს და შეხვედრის ვიდეოჩანაწერის ნაწილობრივ გამოქვეყნებას, ორივე მხარის მიერ ერთმანეთის მიმართ კრიტიკული შეფასებები მოჰყვა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ გამოკითხვის შემდეგი თემა კი, კონტროლის პალატის მიერ მოქალაქეთათვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევაა, კითხვით — „რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ კონტროლის პალატის ბოლოდროინდელი ქმედებები“.

ნიუსპრესი

### ახალაია ალასანიას ურჩევს, ბოდვას შეეშვას“

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერ ირაკლი ალასანიას ურჩევს, „ბოდვას შეეშვას“.

ჟურნალისტებთან საუბრისას ახალაია გამოეხმაურა ალასანიას განცხადებას, რომელიც შეიარაღებული უკანონო დაჯგუფებების შექმნას შეეხება. როგორც თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, ქვეყანა რამდენიმე თვეა სარეზერვო სისტემას ქმნის.

— საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, სარეზერვო სამსახურში გაწევრიანდეს. ეს ნებაყოფლობითია და ანაზღაურებას არავინ იღებს. სამუშაოები რამდენიმე რეგიონში ჩატარდა და სარეზერვო სამსახურები შექმნილია, დაახლოებით 40 000 ადამიანი არის უკვე გაწევრიანებული. ოპტიმისტური გეგმით მივდივართ და საბოლოო ჯამში 100 000 მოხალისე გვეყოლება. ისინი ყველა რეგონში გაიხსნება. უბრალოდ იმ რეგიონებიდან დავიწყეთ, რომელიც ადმინისტრაციულ საზღვართან არის. ამ ყველაფრის უკან სისულელეები არ უნდა დაინახო, — აღნიშნა ბაჩო ახალაიამ.



მისი თქმით, ეს საქმიანობა მაინცდამაინც რამდენიმე თვის წინ იმიტომ დაიწყო, რომ 2006 წელს ეს შეუძლებელი იყო, 2008 წლის ომმა კი ამის აუცილებლობა გვიჩვენა.

— ომი მნიშვნელოვანი ბიძგი იყო, რათა სრულფასოვანი ანალიზი გაგვეკეთებინა და როდესაც დრომ მოუწია, მაშინ დავიწყეთ. რეზერვისტი მხოლოდ საომარი ვითარების დროს ჯარისკაცებისა და სტიქიური უბედურებების დროს დამხმარე საშუალებაა, თუმცა, მხარეებს შორის დაპირისპირებისას მათი გამოყენება არ შეიძლება“, -— აღნიშნა ბაჩო ახალაიამ.

მედიანიუსი

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ჯონდი ბაღათურია: მთავრობა ახალი დანაშაულის ჩასადენად ემზადება“

## ნაციონალებმა მინისტრთა კაბინეტს ნდობა გამოუცხადეს

თეა მარხვაიძე

გუშინ მთავრობამ პარლამენტი დააფასა. საკანონმდებლო ორგანოში ნდობის გამოსაცხადებლად მთავრობა ლამის სრული შემადგენლობით მივიდა. მათ შორის იყვნენ ბაჩო ახალაია და თვით ვანო მერაბიშვილიც კი. არადა, ეს უკანასკნელი მთავრობაში გადასვლის შემდეგ საკანონმდებლო ორგანოს დიდად აღარ სწყალობს.

სრული შემადგენლობით მოსულ მთავრობას პარლამენტის სპიკერი იქ არ დახვდა. დავით ბაქრაძე სამუშაო ვიზიტით საზღვარგარეთ იმყოფებოდა. სხდომას მის მაგივრად მიხეილ მაჭავარიანი გაუძღვა, რომელიც ცოტა ხნის წინ ნაცმოძის გენერალურ მდივნად აირჩიეს.

ოპოზიცია მთავრობას მომზადებული დაუხვდა. მათ მიერ დანთებული ცეცხლი მთავრობისთვის მოულოდნელი სულაც არ აღმოჩნდა, რადგანაც ისინი წინასწარ ამბობდნენ, რომ მთავრობას ნდობას არ გამოუცხადებდნენ. ამის გამო მთავრობა არ შეწუხებულა, რადგანაც მათთვის ნაცმოძის ნდობა სრულიად საკმარისი იყო.

პარლამენტს სიტყვით მთავრობის მეთაურმა ნიკა გილაურმა მიმართა. თუ გილაური სიმართლეს ამბობს, მაშინ გამოდის, რომ აყვავებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ვერ გაგვიგია.

გილაურის განცხადებით, გასულ წელს უმუშევრობის მაჩვენებელი 16,2 %-დან 15,2%-მდე შემცირდა. გილაურმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას მარგარეტ ტეტჩერის გამონათქვამი გაიხსენა უმუშევრობასთან დაკავშირებით და განაცხადა, რაიმე შანსი რომ არსებობდეს უმუშევრობის მყისიერად მოგვარებისა, ეს პრობლემა მოგვარდებოდა.

— სამწუხაროდ, შანსი, რომ უმუშევრობა მყისიერად მოგვარდეს, არ არსებობს, ეს არის პროცესი და ამ პროცესს ჩვენ მივუყვებით ეტაპ-ეტაპ, — განაცხადა გილაურმა და დასძინა, რომ გასული წლის სამი კვარტალის მაჩვენებლით უმუშევრობა 15,2 % -მდე შემცირდა.

მისი განცხადებით, უმუშევრობა არის სერიოზული პრობლემა და ამის მოგვარებას ემსახურება მთავრობის ათპუნქტიანი გეგემა, რომლის მთავარი და ერთადერთი ფუნქცია, სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევრობის შემცირებაა.

პრემიერ-მინისტრმა, საქართველოს რეგიონულ ცენტრად ჩამოყალიბების მნიშვნელობაზეც ისაუბრა. როგორც მან განაცხადა, საქართველოს რეგიონალური ცენტრის ფუნქცია კიდევ უფრო გაიზრდება მას შემდეგ, რაც საქართველო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებს დაასრულებს, რაც, პრემიერის პროგნოზით, წელიწადნახევარში დასრულდება.

მისი თქმით, რეგიონულ ცენტრად ქცევა საქართველოს დამატებით გარანტიას აძლევს კრიზისების დროს. პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ რეგიონულ ცენტრად ქცევაში ის ასევე გულისხმობს ღია ეკონომიკას, ეკონომიკას კორუფციის გარეშე, კარგ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას და გეოგრაფიულ მდებარეობას.

— იგივე გეოგრაფიული მდგომარეობა 10 წლის წინ გვქონდა, მაგრამ რეგიონულ ცენტრად ვერ ჩამოვყალიბდით. ეს განაპირობა რეფორმებმა და ინვესტიციებმა ინფრასტრუქტირაში, საქართველომ რეფორმების ექსპორტიორის როლიც შეიძინა, რაც როგორც პრეზიდენტის და პარლამენტის, ისე მოსახლეობის დამსახურებაა. მოსახლეობამ დაამტკიცა, რომ შესაძლებელია კორუფციას ებრძოლო და დაამარცხო. პოსტსაბჭოთა რიგ ქვეყნებში ადამიანებს იმასაც კი ეუბნებიან, რომ კორუფციის დამარცხება შეუძლებელია, - განაცხადა გილაურმა.

პრემიერმა კიდევ ბევრი რამ თქვა. მაგრამ ოპოზიციის გული ვერ მოიგო. ამ მხრივ განსაკუთრებული ქვის გული ჯონდი ბაღათურიას აღმოაჩნდა. მისი მტკიცებით., მთავრობა ახალი, დიდი დანაშაულის ჩასადენად ემზადება.

— დღევანდელი მთავრობა კიდევ უფრო დიდი დანაშაულის ჩასადენად ემზადება — ეს არის ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ამ მიზნით უკანონო შეიარაღებული ფორმირებები მზადდება, რომლებიც სამოქალაქო დაპირისპირების დროს უნდა იქნეს გამოყენებული, — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

მან საპარლამენტო უმრავლესობას მოუწოდა, იმ დიდ დანაშაულს გაემიჯნოს, რომლის ჩადენასაც მთავრობა გეგმავს.

დეპუტატმა მთავრობის ძირითად ფუნქციად კორუმპირებული პრეზიდენტისა და კორუმპირებული რეჟიმის სამსახური დაასახელა.

— დღეს წარმოდგენილია მთავრობა, რომლის წევრთა უმრავლესობამ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, წარმატებით კეთილმოიწყო საკუთარი ცხოვრება და ხალხისა და სახელმწიფოს გაღატაკების ხარჯზე გამდიდრდა, — განაცხადა ბაღათურიამ.



მისი თქმით, პარლამენტში ის მთავრობაა წარმოდგენილი, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში დედაქალაქი დაუცველი დატოვა და რომელიც თურქული ოკუპაციის სიმბოლოს მშენებლობას ლობირებს.

ამ განცხადებამდე კი ბაღათურიამ შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს შეკითხვებით მიმართა. ბაღათურიას ძალიან აინტერესებს, არის თუ არა პრეზიდენტის წინააღმდეგ კორუფციის ბრალდებით საქმე აღძრული. ბაღათურიას თქმით, ასევე იკვეთება პრეზიდენტის ოჯახის წევრების კავშირი უცხოურ ფულთან.

მას ასევე აინტერესებს, რა ეტაპზეა ბრალდებულ სოლომონ ქიმერიძის მკვლელობის საქმის გამოძიება და დაისაჯნენ თუ არა დამნაშავეები.

— რატომ ხდება, რომ პოლიციის გამჭვირვალე შენობებიდან ადამიანები კიბეებიდან ვარდებიან? რა განსხვავებაა — კახა თარგამაძის დროს ფანჯრებიდან ვარდებოდნენ ადამიანები, ახლა კი — კიბეებიდან, — განაცხადა ბაღათურიამ.

ბაღათურიამ ზაზა გოროზიას და დიმიტრი შაშკინის მისამართითაც გააკეთა მწვავე განცხადება. მათ წინააღმდეგ ბაღათურია უკვე დიდი ხანია რაც ილაშქრებს. მათ წინააღმდეგ კომპრომატებიც ბევრჯერ ააფრიალა.

— მაინტერესებს, დაწყებულია თუ არა მოკვლევა სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორის ზაზა გოროზიას, მისი ძმის ზაალ გოროზიასა და მისი სანათესაოს წინააღმდეგ, რომლებიც ერთად კორუფციასა და პროტექციონიზმში არიან მხილებული და ამაში დიმიტრი შაშკინიც მონაწილეობდა, — ჰკითხა ბაღათურიამ შს და იუსტიციის მინისტრებს.

მათ მაგივრად ბაღათურიას პასუხი რატომღაც მაჭავარიანმა გასცა. ვითომ ორივე უწყება მას ჩააბარეს?

# აკაკი ბობოხიძე: აშშ-ის ელჩი საქართველოს ხელისუფლებას დირექტივას ვერ მისცემს“

## დაუპირისპირდა თუ არა საქართველოს ხელისუფლება ამერიკას

თეა მარხვაიძე

საქართველოს ხელისუფლებას ამერიკის აუგად ხსენება ოფიციალურად ჰქონდა აკრძალული. იმას, ვინც ამერიკაზე აუგს იტყოდა, ლამის სამშობლოს მოღალატედ აცხადებდნენ. ახლა კი თავადაც შეაჩვიეს ამერიკას ენა. ლამის საფიცარი ვაშინგტონის მიმართ უკმაყოფილება ნაციონალებს ჯონ ბასის ელჩობის ჟამს გაუჩნდათ.

ბარაქ ობამას გაპრეზიდენტებას ნაციონალები, როგორც ჩანს, სწორად ეწინააღმდეგებოდნენ. ალბათ, გული უგრძნობდათ, რომ ობამა მათ ხეირს არ დააყრიდა. ასეთი წინათგრძნობა რომ არ ჰქონოდათ, კობა სუბელიანი ტყუილად კი არ ივლიდა მანქანის სანომრე სერიით „მაკეინი“.

ხუმრობა იქით იყოს და საქმე საკმაოდ სერიოზულად არის. ხელისუფლების წარმომადგენლები ღიად დაუპირისპირდნენ უცხოელ დიპლომატებს, განსაკუთრებით კი ამერიკის ელჩს გადაეკიდნენ მწარედ.

საამისოდ კი სერიოზული მიზეზები აქვთ. კარგად ახსოვთ, რა განცხადებებს აკეთებდა მისი წინამორბედი ჯონ ტეფტი. ბასი კი ლამისაა ოპოზიციის ლიდერად იქცეს, ნაციონალების გაგებით, რასაკვირველია.

ანტიბასური ბაასი კი ნაციონალებს 2011 წლის იანვრიდან დასჩემდათ. ვეტერანების აქციის დარბევაზე აშშ-ის ელჩს საკმაოდ მკვეთრი რეაქცია ჰქონდა. ეს, რა თქმა უნდა, მთავრობას არ მოეწონა, მაგრამ მაინც „გაატარეს“. მაინც ამერიკის ელჩი იყო და ვერაფერი შეჰბედეს. მერე და მერე კი ბასმა ძალიან გაამწვავა და ესენიც შეშფოთდნენ.

შფოთმა განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ იმატა. ზევით არც ის მოეწონათ, ამერიკის ელჩი რამდენჯერმე რომ შეხვდა ბიზნესმენს.

მმართველ გუნდს არც ის მოსწონს, ელჩი გამუდმებით დემოკრატიული არჩევნების აუცილებლობაზე რომ საუბრობს.

„მოქალაქეთა გაერთიანებების შესახებ კანონი“ ბასმა მმართველ გუნდს საშობაო არდადეგებზე ყოფნის პერიოდში დაუწუნა. მისი განცხადების შემდეგ უკვე მიღებულ და ბასის დაწუნებულ კანონში ცვლილებები შეიტანეს.

თითქოს ინციდენტიც ამოიწურა, მაგრამ მერე იყო ნათია მოგელაძის კვირეული, რომლის ფარგლებში საქართველოს რეგიონებში ასეულობით ადამიანი დაკითხა კონტროლის პალატამ. დაკითხვასაც გააჩნია. როგორც ამბობენ, „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულ პირებს დაკითხვაზე ლამის აშიშვლებდნენ.

ამ ამბავმა ბასის ყურამდეც მიაღწია. მან „ფეისბუქის“ მეშვეობით თავისი პოზიცია დააფიქსირა. თავიდან ნაციონალები ამბობდნენ, რომ ეს არასწორი ინფორმაცია იყო. მერე ეს შეშფოთება საელჩომაც დაადასტურა. ამის გამო ნაცმოძის ლიდერებმა ელჩი არაკორექტულობაში დაადანაშაულეს. მათი თქმით, ბასს შეეძლო, ეს ყველაფერი ხელისუფლებისთვის პირისპირ შეხვედრის დროს ეთქვა.

ოპოზიციის მტკიცებით, ხელისუფლებამ უკვე კარგა ხანია გადაუხვია დასავლურ კურსს. ამის დასადასტურებლად უამრავი მაგალითი მოჰყავდათ. ახლა კი დასავლური კურსიდან გადახვევაზე ახალი სასაუბრო გაუჩნდათ, რომელიც საფუძველს სულაც არ არის მოკლებული.

ბოლო 2 დღის განმავლობაში ხელისუფლების წარმომადგენლებმა აშკარად გადაამეტეს ამერიკასთან დაკავშირებით. სიტყვა საქართველოს პრეზიდენტსაც გაექცა.

19 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში უცხოური საელჩოების თანამშრომელთა დამოკიდებულება მოქალაქეთა მიმართ უარყოფითად შეაფასა.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა თბილისის საინფორმაციო მომსახურების ცენტრში სტუმრობისას განაცხადა, საელჩოში ვიზის ასაღებად მისულ მოქალაქეს ცუდად ეპყრობიან.

— ნახეთ, როგორ ეპყრობიან საელჩოში მისულ მოქალაქეებს უცხოელებიც და იქ მომუშავე ქართველებიც. ეს იმიტომ ხდება, რომ მას ჰგონია, ის არის უფროსი და შენ მისგან რაღაც გინდა. ასეა ბევრ ქვეყანაში. ეს ხდება ჩვენს საელჩოებში, უცხოურ საელჩოებში, მათ შორის, განვითარებულ ევროპულ ქვეყნებშიც, — აღნიშნა პრეზიდენტმა.



მისი თქმით, ეს არის ბიუროკრატიის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოში ძვალსა და რბილში იყო გამჯდარი, თუმცა, აღნიშნული მენტალიტეტი შეიცვალა.

საელჩოების თანამშრომლების მიმართ კრიტიკას ოპოზიცია ადრე ხშირად გამოთქვამდა. არაერთხელ ითქვა, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეებს ცუდად ეპყრობიან. მაშინ ეს მმართველმა გუნდმა გულთან ახლოსაც კი არ მიიტანა, ახლა კი რატომღაც თვით პრეზიდენტიც აღშფოთდა.

ოპოზიცია ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი დასავლეთის პოზიციას უკავშირდება. დასავლეთში სააკაშვილს დემოკრატიის შუქურად აღარ მიიჩნევენ. ექსპერტების ნაწილი იმასაც ამტკიცებს, რომ სააკაშვილი დასავლეთიდან რუსეთისკენ საფუძვლიანად გადაიხარა. ამბობენ, რომ რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი შემთხვევით არ მოუხსნიათ.

ვარაუდები ამ თემაზე, ალბათ, კიდევ მრავლად გამოითქმება, მით უმეტეს, რომ სალაპარაკოს თავად ხელისუფლება იძლევა. დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ გუშინ ძალიან მნიშვნელოვანი და ხისტი განცხადება გააკეთა. ასეთი რამ ამერიკის ელჩზე პრორუსულ ოპოზიციონერებსაც კი არ უთქვამთ.

ეს რისხვა კი ბასმა ირაკლი ალასანიას განცხადების საპასუხოდ გაკეთებული განცხადების გამო დაიმსახურა. ალასანია ამტკიცებს, რომ ხელისუფლება ბანდფორმირებებს ქმნის.

— ნებისმიერი ბრალდება, რომელიც კეთდება წინასაარჩევნოდ და უკავშირდება ძალადობის გამოყენების შესაძლებლობას ან მის წინასწარმეტყველებას, საჭიროებს ყურადღების მიქცევას, — ამის შესახებ შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ბასმა ჟურნალისტებს ალასანიას განცხადების კომენტირებისას განუცხადა.

— ჩვენ ყველა მხარესთან ნათლად ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ არ არის ძალადობის ადგილი კონკურენტულ საარჩევნო ციკლში, დემოკრატიულ საზოგადოებაში და ყველა მხარემ უნდა უზრუნველყოს ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი პროცესები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ძალადობრივი გარემოს შექმნა. მოვუწოდებ ყველა მხარეს, პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ საკითხს, რაც გულისხმობს, არ ისაუბრონ ისეთი ბრალდებებზე, რომლებიც არ იქნება ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ფაქტებით გამყარებული, — განაცხადა ჯონ ბასმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ბობოხიძე მიიჩნევს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოს ხელისუფლებას დირექტივებს ვერ მისცემს.

როგორც ბობოხიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს ხელისუფლების უპირველესი და მოქმედების მთავარი მოტივი საქართველოს მოსახლეობაა და არა ამერიკის ელჩი.

— ჩვენ მივეჩვიეთ, რომ საქართველოში ზის აშშ-ის ვიღაც წარმომადგენელი და მისი სიტყვა გადამწყვეტია მოსახლეობისა და ხელისუფლებისთვის. არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, არამედ ნებისმიერი ელჩის პოზიცია ანგარიშგასაწევია, მაგრამ ეს არ არის დირექტივა. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოს ხელისუფლებას დირექტივას ვერ მისცემს, მაგრამ, თუ მაინც აძლევს ასეთ დირექტივას და ხელისუფლება იღებს, მე ასეთი არც ხელისუფლება მინდა და არც ელჩი. ვერ გავიგე, დამოუკიდებელ სახელმწიფოზე ვლაპარაკობთ თუ ამერიკის შეერთებული შტატების მარიონეტზე, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია არის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი. ჩვენთვის გადამწყვეტია საქართველოს კანონმდებლობა და კონსტიტუცია, — განაცხადა ბობოხიძემ.

მან ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, ჯონ ბასს მოუწოდა, კარგად გაეცნოს ქართულ კანონმდებლობას.

საპარლამენტო უმრავლესობის კიდევ ერთი წევრი შოთა მალაშხია კი ამბობს, რომ ამერიკა რჩება საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად, მაგრამ კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას პრიორიტეტებს ქართული მხარე განსაზღვრავს. მისივე თქმით, ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, მათ შორის ელჩებს, მაგრამ, მოხდება თუ არა გათვალისწინება, ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ჩათვლის საჭიროდ ამას ქართული მხარე.

ვერაფერს იტყვი, მმართველი გუნდი აშკარად გაღიზიანებულია და სულ აღარ ფიქრობენ იმაზე, რომ ამერიკის გული მოიგონ. არადა, ცოტა ხნის წინ სხვანაირად იყო საქმე.

ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, ვაშინგტონის ქება რომ დაემსახურებინა. ამ მიზნის მისაღწევად თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ბუშის სახელი მიანიჭეს. კობა ხაბაზმა კი კინაღამ უშბას გადაარქვა სახელი და ობამას სახელი უწოდა.

აშკარაა, რომ ხელისუფლება ამერიკით უკმაყოფილოა. მიზეზიც აქვთ. იქ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურად აღარ მიაჩნიათ. ამ მხრივ ეს ხელისუფლება რაღაცით ძალიან ემსგავსება შევარდნაძის რეჟიმს. ბოლო პერიოდში ისინიც აღარ უსმენდნენ ამერიკას. არც დემოკრატიული არჩევნების ჩატარება მოინდომეს და თავად მოუწიათ სახლში წასვლა.

დღეს ყველასთვის ცნობილია, რომ ის ყვავილოვანი გადატრიალება ამერიკის ხელდასხმით მოხდა. ასე რომ, ხელისუფლებას ცოტა მეტი სიფრთხილის გამოჩენა მოუწევს. სავარაუდოდ, ბობოხიძის გამოხდომის გამო თბილისი ვაშინგტონს მოუბოდიშებს. შესაძლოა, ბობოხიძეც კი დასაჯონ. გააჩნია, როგორ წავა საქმეები.

ყოველთვის დასავლეთზე ორიენტირებულმა საქართველოს ხელისუფლებამ შესაძლოა კურსი შეიცვალა. თუ ასეა, მაშინ ყველაფერი გასაგებია, ხოლო თუ ისევ დემოკრატიის გზას ვადგავართ, მაშინ რაღაცების განმარტებები იქნება საჭირო, რადგანაც არ შეიძლება, პროამერიკული მხოლოდ მაშინ იყო, როცა ეს შენს ინტერესებშია,

თანაც, პროამერიკულობა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ კოკა-კოლა დალიო, მაღალი ხელფასი დაინიშნო, ხალხს ფილმები სუბტიტრებით აყურებინო.

# ნინო ბურჯანაძე: „რეიტინგო რომ ვიყო, ჩემზე ამდენს არ ილაპარაკებდნენ“

## რას საყვედურობს ოპოზიციას პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე

თამარ ნინიძე

**ინტერვიუ „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარესა და სახალხო კრების ლიდერ ნინო ბურჯანაძესთან**

***— გავრცელდა ინფორმაცია, რომ დევნილები სახალხო კრებას შეუერთდნენ. რამდენად რეალურია ეს გაერთიანება და რა ერთობლივი გეგმები გაქვთ?***

— წინა კვირას ჩატარდა სახალხო კრებისა და დარბაზის გაფართოებული სხდომა, ამ სხდომას წინ უძღოდა სწორედ ის პროცესი, რომელზეც თქვენ ბრძანეთ. დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაცია შემოუერთდა სახალხო კრებას. ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო ის, ამ ადამიანებმა გააკეთეს განცხადება, რომ ისინი სწორედ სახალხო კრებას ხედავენ ყველაზე მებრძოლ ძალად და მიაჩნიათ, რომ სწორედ ის გზაა სწორი, რომელზეც სახალხო კრება საუბრობს, ანუ ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნა, რომელსაც ექნება რეალური ძალა და შესაძლებლობა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მაქსიმალურად სწრაფად და უმტკივნეულოდ მოიშოროს. ჩვენ უფრო ღრმა თანამშრომლობა გვექნება ამ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, ასევე არის რამდენიმე სხვა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც უახლოეს ხანებში აპირებს სახალხო კრებასთან შემოერთებას და სახალხო კრებასთან ერთად მუშაობის გაგრძელებას. რაც შეეხება დარბაზის სხდომას, ის კიდევ სხვა მიზეზით იყო ძალიან საინტერესო. სოსო ჯაჭვლიანი არჩეულ იქნა დარბაზის სპიკერად, რომელმაც არაჩვეულებრივად წაიყვანა დარბაზის პირველი სხდომა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც მოწვეული სტუმრების სტატუსით ესწრებოდნენ პირველად დარბაზის სხდომას; ესენი გახლდნენ ბატონები აკაკი ასათიანი და გია ჟორჟოლიანი, წინააღმდეგობის მოძრაობის სახელით სხდომას ესწრებოდა ბატონი სოსო მანჯავიძე, ასევე მურმან დუმბაძე, ზაზა ხატიაშვილი და სხვები, რომლებიც აქტიურად გულშემატკივრობენ სახალხო კრებას. საინტერესო იყო ის, რომ ყველა ამ ადამიანმა პოზიტიური დამოკიდებულება გამოხატა სახალხო კრების ინიციატივასთან დაკავშირებით. ამ შეხვედრის მიზანი იყო ის, რომ ჩვენ სერიოზულად გვემსჯელა და მოგვესმინა დარბაზის წევრებისა და მოწვეული სტუმრების მოსაზრებები ამ ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნის შესახებ. მოხარული ვარ, რომ ყველა ამ ადამიანმა არა მარტო მხარი დაუჭირა ამ იდეას, არამედ გადაჭრით ისაუბრა ამ იდეის აუცილებლობაზე.

***— კოდორის ხეობაც კი, რომელსაც ადრე ხელისუფლება აკონტროლებდა, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ აფხაზების ხელში გადავიდა. ბევრ ქართველ პოლიტიკოსს აქვს გეგმა ტერიტორიების დაბრუნების, ზოგს ეს გეგმა ჯერჯერობით თაროზე აქვს შემოდებული, ცნობილია რესპუბლიკელების პროექტი, რომელიც ბევრ კითხვას აჩენს. საინტერესოა დემოკრატიული მოძრაობის გეგმის ძირითადი არსი, იქნებ გაგვაცნოთ მისი პრინციპები?***

— კარგია, რომ ამაზე მკითხეთ, ბევრი ადამიანისთვის ეს ხედვები უცნობია იმიტომ, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საზოგადოებამდე არ მოსულიყო



პარტიის კონცეფციები, არა მარტო ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის, არამედ ძალიან მნიშვნელოვანი კონცეფცია, რომელიც ჩვენს ვებგვერდზე დევს უკვე ორი წელია. ეს არის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საგარეო და საშინაო პოლიტიკასთან და კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებით. მე იმ პოლიტიკოსების კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც არასოდეს შეეგუებიან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაკარგვას. მიმაჩნია, რომ ამის ხაზგასმა საჭირო არც უნდა იყოს, მაგრამ იმ ფონზე, როდესაც არიან ადამიანები, რომლებსაც სხვადასხვა კონტექსტში მინიშნებული აქვთ, რომ შეიძლება ისინი დაეთანხმონ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებას, ან როცა გვეუბნებიან, ჯერ ევროკავშირში უნდა შევიდეთ და მერე უნდა დავიწყოთ ამ თემებზე საუბარი იმიტომ, რომ მერე გავერთიანდებით, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე ამ საკითხის ხაზგასმა. ამ პრობლემის მოგვარების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ნდობის აღდგენა აფხაზებსა და ქართველებს, ოსებსა და ქართველებს შორის. ამ ნდობის გარეშე არ არსებობს არც ერთი მექანიზმი, არ არსებობს არც ერთი სქემა ან ფორმულა, რომელიც მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ კონფლიქტების დარეგულირებაზე ვისაუბროთ. აფხაზებმა და ოსებმა უნდა დაინახონ, რომ საქართველო არის მათთვის მიმზიდველი ქვეყანა არა მარტო ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ სწორედ დემოკრატიულობის ხარისხიდან გამომდინარე, როცა ქვეყანა არ არის დემოკრატიული, მაშინ მისი მოქალაქე თავს დაცულად ვერ გრძნობს. მით უმეტეს, დაცულად ვერ იგრძნობენ თავს ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც კონფლიქტის სუბიექტს წარმოადგენენ. მათ უნდა იცოდნენ, რომ მათ რელიგიურ, ეთნიკურ, ენობრივ თავისებურებებს ყველა ქართველი პატივს სცემს და არასოდეს არ მოხდება იარაღის გამოყენება მათ წინააღმდეგ და მათი უფლებების შელახვა. ნდობის აღდგენის პროცესი ერთ წელიწადში ვერ მოხდება, იმდენად გააფუჭა საქმე სააკაშვილმა 2008 წელს, რომ ოდნავ დაწყებული კავშირების აღდგენა და გამყარება ფაქტობრივად ხელახლა ჩაშალა, უმძიმესი ტრაგედია დაატრიალა ჩვენი ერების თავზე, მაგრამ ნდობის აღდგენა შესაძლებელია. შემდეგ, რა თქმა უნდა, სწორი პოლიტიკური ფორმულირებები უნდა იქნას მოძებნილი იმისათვის, რომ ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში თანაცხოვრება მისაღები იყოს ამ ერებისთვისაც. უპირველესი მნიშვნელობა ექნება ჩვენს შორის მოლაპარაკებებს, მაგრამ გარე ფაქტორებიც იქნება მნიშვნელოვანი. ვფიქრობ, რომ სერიოზულად დაგვეხმარება საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიტიური დამოკიდებულება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოირიცხოს რუსეთის ფაქტორი, რუსეთს შეუძლია ამ პროცესში ითამაშოს არა მარტო მკვეთრად ნეგატიური, არამედ პოზიტიური როლი. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ რუსული მხარე ჩართული იყოს ამ პროცესში პოზიტიური კუთხით.

***— ნატოს და ტერიტორიულ მთლიანობას დებენ სასწორზე, თუ უარს ვიტყვით ნატოზე, დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

— არასწორია საკითხის ასე დაყენება, ეს ხელისუფლების მხრიდან სპეკულაციის საგანია, როდესაც ლაპარაკობს, რომ აი, ჩვენ ნატოზე უარის თქმას გვაიძულებენ. არავინ არავის არაფერს აიძულებს, უბრალოდ, სწორი და აწონ–დაწონილი გადაწყვეტილებები უნდა იყოს მიღებული. ახლა უკვე გია ბარამიძემ დაადასტურა, რომ ჩიკაგოს სამიტზე არც ნატოში გაწევრიანების და არც მაპის მიღების საკითხი არ იქნება განხილული. როცა ვამბობდი, რომ ნატოში გაწევრიანება განუსაზღვრელი ვადით არის გადაწეული და ეს სააკაშვილის დამსახურებაა–მეთქი, ამის გამო ლამის სამშობლოს მოღალატედ და ნატოს მტრად გამომაცხადეს, მაგრამ დადასტურდა ახლა, რომ მართალს ვამბობდი. მე კარგად ვიცი ნატოს წესდება, განსხვავებით ბევრი ადამიანისგან, რომლებმაც ან არ იციან, ან არ უნდათ რომ იცოდნენ. მე ვიცი მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები, ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ საქართველოს უახლოეს პერიოდში ნატოში გაწევრიანების არანაირი პერსპექტივა არა აქვს. ეს არის არა მარტო არასტაბილური, არამედ არადემოკრატიული სახელმწიფო, ნატო მარტო სამხედრო ბლოკი არ არის, ის არის სამხედრო–პოლიტიკური ბლოკი. საინტერესო განცხადება გააკეთა ბატონმა აპატურაიმ, რომელმაც ქვეშეცნეულად თქვა ის, რაც სინამდვილეს შეეფერება. მან თქვა, საქართველოს პრეზიდენტი სამიტზე მიწვეული იქნება როგორც აისაფის მთავარი კონტრიბუტორი ანუ როდესაც ვლაპარაკობ იმას, რომ სააკაშვილმა ავღანეთში ჩვენი ჯარების განუსაზღვრელი რაოდენობით გაზრდა გამოიყენა, რათა საკუთარი სავარძელი და საკუთარი სტატუსი შეენარჩუნებინა დასავლელი მეგობრების თვალში. ჩიკაგოს სამიტზე სააკაშვილი მიწვეული იქნება არა როგორც ის ადამიანი, რომელიც ნატოს პარტნიორი ქვეყნის პრეზიდენტია, არამედ იქნება მიწვეული როგორც ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტ ჯარისკაცს აგზავნის ავღანეთში, მაშინ, როცა ამაზე უარს ამბობენ არა მარტო ნატოს წევრი ქვეყნები, არამედ ნატოს დამფუძნებელი სახელმწიფოები. ნატოზე უარი რომ ვთქვათ, ეს ავტომატურად არ გამოიწვევს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ესეც ილუზიაა და ტყუილია, ეს ორი თემა არ არის პირდაპირ კავშირში ერთმანეთთან.

***— საზოგადოების ერთმა ნაწილმა გაგაკრიტიკათ იმის გამო, რომ ვლადიმერ პუტინს რამდენჯერმე შეხვდით. ამ გადმოსახედიდან როგორ შეაფასებთ ამ შეხვედრებს, რა დადებითი შედეგი მოიტანა მან თქვენთვის და ქვეყნისთვის?***

— პირადად ჩემთვის დადებით შედეგებზე რომ მეფიქრა, დღეს ოპოზიციაში კი არა, ხელისუფლებაში შეიძლება ვყოფილიყავი. ასეთ არადემოკრატიულ ქვეყანაში და ასეთ მახინჯ სისტემაში, როდესაც ხელისუფლებას ყველანაირი სიბინძურე შეუძლია იკადროს, დამეთანხმებით, ოპოზიციაში ყოფნა დიდი კომფორტი არ არის. ხელისუფლებაში შეიძლება გაცილებით მშვიდად მეგრძნო თავი, მაგრამ მე არც მაშინ მიფიქრია, პირადად ჩემთვის რამდენად პოზიტივის მომტანი იქნებოდა ეს ნაბიჯი; არც 2007 წელს მიფიქრია პირად პოზიტივზე, როცა გადაწყვეტილებებს ვიღებდი მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყანაში ვითარება არ გამწვავებულიყო, არც 2003–ში, არც 2008, 2009 და არც 2010-ში, არც ახლა არ ვფიქრობ პირადულზე. მე და ჩემმა თანაგუნდელებმა ვიცოდით, რომ ხელისუფლება პუტინთან ჩემს შეხვედრას აბსოლუტური ისტერიკით შეხვდებოდა, სააკაშვილი ლამის იატაკზე გორავდა აღშფოთებისა და შიშისგან, მან თავისი თავი წარმოიდგინა ჩემს ადგილზე, ჩათვალა, რომ მე ყველაფერს ვიკადრებდი, ოღონდ სააკაშვილი ხელისუფლებიდან მომეშორებინა. ის ჩემს ადგილზე ასე მოიქცეოდა. არის ასეთი რუსული გამოთქმა, „კაჟდი დუმაეტ ვ მერუ სვოეი ისპორჩენნოსტი“. ის ასე ფიქრობდა და ამიტომ გორავდა იატაკზე, ეგონა, რომ მართლა რუსული ტანკებით შემოვქანდებოდი საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლებიდან გასაშვებად. ჩემი ქვეყნის ინტერესების დასაცავად მივიღე ეს გადაწყვეტილება. რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის გარეშე შეუძლებელი იქნება საქართველოს ნორმალური განვითარება. იმ ისტერიულ, ცივი ომის რეჟიმში ყოფნა, რომელშიც დღეს ერთადერთი ქვეყანა - საქართველოღა არის დარჩენილი, ქვეყანა ნორმალურად ვერ განვითარდება და ვერც კონფლიქტების დარეგულირებას შეეწყობა ხელი. მნიშვნელოვანი იყო შევხვედროდი რუსეთის პოლიტიკურ ელიტას და ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შევხვედროდი სწორედ იმ ადამიანს, რომელიც მაშინაც, რბილად რომ ვთქვათ, ერთ–ერთი იყო იმ ორ ადამიანს შორის, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებდა რუსეთში და ამავდროულად რეალური პერსპექტივა ჰქონდა, რაშიც ერთი წამით არ შემპარვია ეჭვი, რომ მინიმუმ ექვსი და შესაძლოა თორმეტი წლითაც ის იქნება რუსეთის პრეზიდენტი და გადაწყვეტილებების უმთავრესი მიმღები. რა შედეგი მოჰყვა ამ შეხვედრას? უპირველეს ყოვლისა, მე ნათლად დავინახე, რომ რუსეთის პრეზიდენტს კარგად ესმის კავკასიის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების სპეციფიკა, მას ნამდვილად უნდა რეალობის გამოსწორება იმიტომ, რომ რუსეთის ინტერესებში უფრო შედის ერთიან საქარ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# გიორგი ცაგარეიშვილი: „საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, ბეჟაშვილს მითითებებს ადეიშვილი ინტერნეტით უგზავნის“

## რატომ გაფარჩაკდა კონტროლის პალატა

შალვა ჯოხაძე

კონტროლის პალატა „ქართულ ოცნებას“ არა და არ ეშვება. გუშინ პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებმა გვამცნეს, რომ ფიზიკური პირის ბიძინა ივანიშვილის მიერ პირადი ანგარიშიდან ააიპ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის წევრთა უკანონო დაფინანსების ფაქტზე ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობდა. დაფინანსების საერთო ოდენობა 406 525 ლარს შეადგენდა.

— საქმის შესწავლის შედეგად 272 597 ლარის ოდენობის უკანონო დაფინანსების ფაქტი დადგინდა იმ პირებთან მიმართებით, რომელთა პოლიტიკური აქტივობა დადასტურებული და დაკავშირებული იყო ააიპ „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ და საარჩევნო მიზნებთან. უკანონო პოლიტიკური დაფინანსების ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფიზიკური პირი ბიძინა ივანიშვილი უკანონო დაფინანსების – 272 597 ლარის ათმაგი ოდენობით დაჯარიმდა, – აცხადებენ კონტროლის პალატაში.

ცხადია, კონტროლის პალატა ხელისუფლების ხელში მხოლოდ იარაღია, რომელსაც სააკაშვილის პირადი კონკურენტის, ბიძინა ივანიშვილის გასანეიტრალებლად იყენებენ. თანაც, ამ წინასაარჩევნოდ, სააკაშვილის ბიუჯეტიც ივსება ივანიშვილისათვის ჩამორთმეული მილიონებით. ჭკვიანურია! თუმცა, როგორც „ქართული ოცნების“ პრესსპიკერი აცხადებს, ეს უკანონობა გახლავთ. მაია ფანჯიკიძის თქმით, ეს ჯარიმები არანაირი კანონის ფარგლებში არ ჯდება.

კონტროლის პალატის საქმიანობასთან დაკავშირებით ოპოზიციონერ დეპუტატებსაც აქვთ თავიანთი პრეტენზიები. მაგალითად, გიორგი ცაგარეიშვილი წუხს, რომ რეალურად კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი აპოლიტიკური უნდა იყოს.

**გიორგი ცაგარეიშვილი:**

— ის უნდა იყოს აბსოლუტურად დაუზიანებელი პოლიტიკური მღელვარებისაგან. ეს კი დაზიანებული კი არა, პრაქტიკულად, გაპარტახებულია. სააკაშვილს დავესესხები და ვიტყვი, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარე ნამდვილად გაფარჩაკებულია.

ეს ადამიანი პარლამენტში, ჩვენს 7-კაციან ფრაქციაში ბოდიგარდებთან ერთად შემოვიდა, დაცვა შემოჰყვა – წიკლაური, გაბაშვილი, მინაშვილი, წერეთელი. არ ვიცი, ეს რას ჰგავს. რა, დავახრჩობდით თუ ტყავს გავაძრობდით?!

***— მოგელაძე რატომ არ მოჰყავს?***

— მოგელაძე? როგორ გეკადრებათ, მოგელაძე, ალბათ, მალე სააკაშვილს მიიყვანს დასაკითხად თავის მისაღებში. საერთოდ, კონტროლის პალატაში ვინ არის უმცროსი თუ უფროსი, მოგელაძე თუ ბეჟაშვილი, ჯერ კიდევ საკითხავია.

კონტროლის პალატის შეფები ვანო მერაბიშვილს არიან ამოფარებული და ისე გვიღერებენ მუშტებს. თუ შნო აქვთ, ისე გველაპარაკონ. მაგრამ არ გააჩნიათ, ღირსება აქვთ დაკარგული, ერთფეროვან მასას დაემსგავსნენ. ამ მასას ჰქვია მიხეილ სააკაშვილი. მათ არანაირი ნებელობითი გადაწყვეტილების მიღების საშუალება არ აქვთ. ზეროები არიან, ნულები. უკვე სახეზეა, თუ როგორ დაასრულა თავისი მოღვაწეობა სტრუქტურამ, რომელსაც კონტროლის პალატა ჰქვია.

გული მტკივა ამაზე, რადგან კონტროლის პალატა – ეს არის სუფთა საპარლამენტო და-



წესებულება. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენს ხელში მძლავრი ბერკეტი იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლისა, ინკვიზიტორად გადაიქცა. კოცონის შემომწყობი მოგელაძეა, ცეცხლის დამნთები – ბეჟაშვილი.

***— და ბეჟაშვილი ვერაფერს წყვეტს, როგორც ამბობენ ხოლმე, მოქმედებს კოლექტიური სააკაშვილი?***

— დიახ, ასეა. ეს ადამიანები, ბეჟაშვილები, მოგელაძეები, რომლებიც ვითომ რაღაც ავტორიტეტით სარგებლობენ, არაფერიც არ არიან. რა თქმა უნდა, ყველაფერი სააკაშვილის ხელშია. ეს ადამიანები, უბრალოდ, მარიონეტები არიან. მთელი ძალისხმევა და ავტორიტეტი კონტროლის პალატისა ზურაბ ადეიშვილის მოსასვენებელ ოთახში დაეტევა. ბატონ ბეჟაშვილს პირდაპირ მართავს ბატონი ადეიშვილი.

ერთ საინტერესო ინფორმაციას მოგაწვდით – წინა მოწვევის პარლამენტში მუშაობისას საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, როგორ უგზავნიდა ადეიშვილი კანონპროექტებზე მითითებებს ბეჟაშვილს, რომელიც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეა, მისი მოადგილე კი საგარეო საქმეთა მინისტრის დღევანდელი მოადგილე ნინო კალანდაძე გახლდათ. ეს გაგზავნის პროცესი ჩემი თვალით მაქვს ნანახი.

***— რა ფორმით უგზავნიდა?***

— პირდაპირ, ინტერნეტით. ერთხელ შევედი ოთახში და დავინახე, მდივანს ჰქონდა გახსნილი. წავიკითხე. არ ვარ ისეთ რამეს ჩვეული, რომ ვინმეს მივუყურადო, მაგრამ თვალი გამექცა. რა თქმა უნდა, ბეჟაშვილი არის მარიონეტი ადეიშვილის ხელში, ადეიშვილი კი – სააკაშვილისა. მარიონეტობის ხარისხიც დეგრადირდა, როგორ შეიძლება, მარიონეტის მარიონეტი იყო?!

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# პოლიტპატიმრებს მალე გავათავისუფლებთ!

გულიკო ბალაძე

## ჩემს მეუღლეს იარაღი დაკავების დროს ჩაუდეს



ამ ქვეყანაში კვლავ გრძელდება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებები.

პოლიტიკური ნიშნით მიხეილ სააკაშვილიც ისევე დევნის მოქალაქეებს, როგორც მისი წინამორბედი. ადამიანებს იჭერენ თავიანთი პოლიტიკური მოსაზრებებისა და პოზიციის გამო.

ხელისუფლებისთვის არასასურველი პოლიტიკური შეხედულებების ადამიანებისთვის იარაღისა და ნარკოტიკების ჩადებაც კვლავ აქტუალურია ძალოვანი სტრუქტურებისთვის.

როგორც ჩანს, ამ აპრობირებულ მეთოდს ჩვენი „სასიქადულო პოლიცია" დღესაც აქტიურად იყენებს. ეს ახლა პირდაპირ შეეხო „ქართულ ოცნებას". ამ შემთხვევაში ხელისუფლებას ამ ორგანიზაციის ლიდერების ნათესავების მეგობრები ჰყავთ დაპატიმრებული.

ამჯერად საუბარია „ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილის დისშვილის, კობა კობიაშვილის მეგობრის ზაზა კობახიძის პოლიტიკურ დევნაზე, რომელსაც 4 წლით პატიმრობა უკვე მიუსაჯეს.

— ხელისუფლების მხრიდან თამაზ თამაზაშვილისა და რევაზ მუმლაძის შემდეგ პოლიტიკური დევნის კიდევ ერთი მაგალითია ზაზა კობახიძის სისხლის სამართლის საქმე, — განაცხადა გუშინ „ქართული ოცნების" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატმა ეკა ბესელიამ.

ზაზა კობახიძე დააკავეს 2011 წლის 6 ნოემბერს. მას ბრალად წაუყენეს 236-ე მუხლის I და II ნაწილების დარღვევა — იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ზაზა კობახიძე დააკავეს საცხოვრებელ სახლთან, როდესაც იგი მცირეწლოვან შვილთან ერთად სამების ტაძარში კობახიძეების გვარის დალოცვაზე მიდიოდა. ეს ფაქტობრივი გარემოება არსებითია ბრალდების გამოსარიცხად, რომ თითქოს ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა დაკავებულს.

ამასთან, დაცვის მხარე აღნიშნავს, რომ ზაზა კობახიძის დაკავება მოხდა ყველა სამართლებრივი პროცედურის დარღვევით.

— რაც შეეხება მოტივსა და მიზანს, თავად ზაზა კობახიძის დაკავება უკავშირდება ბიძინა ივანიშვილის დისშვილთან, კობა კობიაშვილთან ახლო მეგობრობას. მათი შვილები ერთად დადიოდნენ ფეხბურთზე და კვირის განმავლობაში ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, — ამბობს ეკა ბესელია, — ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზაზა კობახიძე იყო თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი და კობა კობიაშვილთან ურთიერთობა, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ საფრთხის შემცველად მიიჩნია.

დაცვის მხარე მიუთითებდა დაკავებისა და ჩხრეკის დროს საპროცესო ნორმების დარღვევაზე. ადვოკატებმა დაკითხეს 11 მოწმე, დაკითხვის ოქმები წარუდგინეს სასამართლოს, რომლებიც დაერთო სისხლის სამართლის საქმეს.

— თუმცა, სასამართლომ არც ერთი მოწმე უშუალოდ სხდომაზე არ დაკითხა. მოსამართლემ დაცვის მხარეს არ დაუკმაყოფილა მნიშვნელოვანი შუამდგომლობა, რათა დაცვის მხარის მოწმეები დაკითხულიყვნენ სასამართლო პროცესზე, — აღნიშნავს დაცვის მხარე.

რა მტკიცებულებები ჰქონდა მოსამართლეს, როცა განაჩენს წერდა და რას დაეყრდნო? ამაზე ზაზა კობახიძის დაცვა ამბობს, რომ სასამართლო მიკერძოებული პოლიციელების ჩვენებებს დაეყრდნო.

— მოსამართლე დაეყრდნო მხოლოდ სამი პოლიციელის ჩვენებას, რომლებმაც დააკავეს ზაზა კობახიძე და მხოლოდდამხოლოდ ამ მიკერძოებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი კობახიძის მიმართ. მას სასჯელის სახედ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამჟამად დაცვის მხარემ სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, სადაც ითხოვს უკანონო გადაწყვეტილების გაუქმებასა და მსჯავრდებულის გათავისუფლებას.

— მიგვაჩნია, რომ ზაზა კობახიძე დაპატიმრებულია პოლიტიკური ნიშნით და ვითხოვთ მის გათავისუფლებას. ამისთვის გამოყენებული იქნება ყველა კანონიერი საშუალება, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა ამ პროცესში, — აცხადებს დაცვის მხარე.

ეკა ბესელია ზაზა კობახიძის დაპატიმრების ფაქტორად ასევე ბიძინა ივანიშვილის დისშვილ კობა კობიაშვილთან მეგობრობას მიიჩნევს.

— ვფიქრობთ, რომ კობა კობიაშვილთან მეგობრობა აღმოჩნდა ფაქტორი, რომლის გამოც ზაზა კობახიძე არის საპატიმროში. სხვაგვარად აუხსნელია მისი დაპატიმრების მიზეზი, როდესაც მას კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაუდენია, — დარწმუნებულია ეკა ბესელია.

ეკა ბესელია ერთ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომელიც საპროცესო გარიგებაზე უარის თქმას ეხება.

— სხვათა შორის, პროკურატურამ უარი თქვა ზაზა კობახიძესთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება.

— ***ქალბატონო ეკა, პროკურატურამ კობახიძის გათავისუფლებაზე უარის თქმის მოტივად რა დაასახელა?***

— არანაირი მოტივი არ დაუსახელებიათ. გაცილებით უფრო მძიმე ბრალდების პირობებშიც კი, მათ შორის, ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა მკვლელობა, ყაჩაღობა, ადამიანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, პროკურატურას საპროცესო შეთანხმებები გაუფორმებია. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმების თაობაზე დაცვის მხარე აცხადებდა მზაობას, მოლაპარაკება ეწარმოებინათ, პროკურატურამ უარი განაცხადა. ეს გარემოება პირდაპირ მეტყველებს იმაზე, რომ, როგორც ჩანს, არსებობს განსაკუთრებული ინტერესი ამ საქმის მიმართ. სხვა შემთხვევაში აუხსნელია მათი პოზიცია. დღეს სასამართლო განაჩენების 90% საპროცესო შეთანხმებით სრულდება. ამ სიტუაციაში, თუ არა რაიმე პირადი ან პოლიტიკური ინტერესი, რატომ უთხრეს უარი, თუნდაც სასჯელთან დაკავშირებით მომხდარიყო შეთანხმება? დაპატიმრებული პირი ბრალდებას არ აღიარებს და არც მტკიცებულებები არსებობს, გარდა სამი პოლიციელის ჩვენებისა. ვინც დააკავა, ის პოლიციელი თავის პოზიციას რომ დაიცავს, ეს გასაკვირი არ უნდა იყოს.

— ***პოლიციელების ჩვენება ბრალდების დასამტკიცებლად საკმარისია?***

— არსებობს როგორც შიდა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტი, რომ განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, ასევე არსებობს ევროპის სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტები, რომ მტკიცებულებები უნდა იყოს რამდენიმე და უტყუარი. პოლიციელი, რომელმაც ადამიანი დააკავა და მისი ინტერესია, თავისი მოქმედება გაამართლოს, ვერ იქნება ობიექტური ჩვენების მიცემის დროს. ევროპის სასამართლო ასეთ მტკიცებულებას საკმარისად არ მიიჩნევს. ბევრ საქმეზე გამოტანილია ევროპის სასამართლოში გადაწყვეტილება იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, სადაც სასამართლომ ასეთი განაჩენები გამოიტანა. ამიტომ არის აღნიშნული განაჩენი უკანონოდ და უსამართლოდ. გვინდა, სააპელაციო სასამართლოში მაინც მივაღწიოთ სამართლიანობის აღდგენას და ადამიანის პატიმრობიდან გათავისუფლებას.

— ***არის თუ არა გადაწყვეტილი საერთაშორისო სასამართლოში გასაჩივრება?***

— თუ ვერ მოვახერხეთ შიდა ინსტანციებში დროულად სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება, ბუნებრივია, ყველა უკანონო განაჩენი თავს მოიყრის ევროპის სასამართლოში, მაგრამ, ვფიქრობ, კობახიძეს ამდენ ხანს პატიმრობაში ყოფნა არ მოუწევს. მალე მოხდება ხელისუფლების ცვლილება და პოლიტპატიმრებს გავათავისუფლებთ.

ზაზა კობახიძის მეუღლე მაია ადამია აცხადებს, რომ მისი მეუღლე უდანაშაულოა და მის პატიმრობიდან გათავისუფლებას მოითხოვს.

— ჩემი მეუღლე ნოემბერში ეკლესიაში კობახიძეების დალოცვაზე ბავშვთან ერთად მიდიოდა. როგორც კი ეზოში გავიდა, მაშინვე დააპატიმრეს. მანამდე დაურეკეს და უთხრეს, ერთი წუთით ჩამოდიო. ჩავიდა და დააპატიმრეს.

— ***ვინ დაურეკა?***

— ჩვენთვის უცნობია, ჩემს მეუღლეს ტელეფონზე ვინ დაურეკა. ტელეფონი წაღებულია. იარაღის უკანონოდ ტარებას აბრალებენ. მას იარაღი არასოდეს უტარებია. 2008 წელს ომიც ისე გამოიარა, იარაღი არ დასჭირვებია და, საერთოდ, არ ატარებდა. მას იარაღი ჩაუდეს დაკავების დროს. მოვითხოვთ მის გათავისუფლებას, რადგან უკანონოდ ჰყავთ დაპატიმრებული.

ეკა ბესელიამ კომენტარი გააკეთა ასევე პატიმრობაში მყოფი პირებისთვის გადასაცემი ამანათების წონის შეზღუდვასთან დაკავშირებით.

მისი თქმით, პატიმრებისთვის გადასაცემი ამანათების წონის შეზღუდვა უსამართლოა და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო იქნება.

— პატიმრობაში მყოფი პირებისთვის გადასაცემი ამანათის წონის შეზღუდვა ძალიან უსამართლო გადაწყვეტილებაა. ეს არის უსამართლო დამოკიდებულება და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო იქნება.

ჩვენ ვიცით, პატიმრობაში მყოფი პირებისთვის საერთაშორისო სტანდარტი როგორია. იგი გულისხმობს მსჯავრდებულის მიერ იმ შეღავათებით მაქსიმალურად სარგებლობას, რომელიც ეხება როგორც ამანათებს, ასევე პირობებს, მკურნალობის წესს და სხვა. კიდევ უფრო მეტი შეზღუდვის დაწესება ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი პატიმრებისთვის, რომელთაც ყველაფრის ყიდვა სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მაღაზიებში უწევთ (სადაც ფასები ძალიან მაღალია), ძალიან უსამართლოა. ეს არის პატიმრობაში მყოფი პირების უფლების კიდევ ერთი შელახვის ფაქტი. ვფიქრობ, კი არ უნდა შეიზღუდონ, არამედ, პირიქით, ის შეზღუდვები, რომლებიც არსებობს, მაქსიმალურად უნდა მოიხსნას, ძალიან ხშირად პატიმრობაში მყოფი პირებისა და მათი ოჯახებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამანათების შეუზღუდავი მიღება. ვიცი, რომ მსჯავრდებულებს ეს პრობლემა აწუხებთ. ამიტომ ამ მხრივ შეზღუდვებს ჩვენ ნამდვილად არ დავაწესებთ.

# გიორგი ცაგარეიშვილი: საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, ბეჟაშვილს მითითებებს ადეიშვილი ინტერნეტით უგზავნის"

დასაწყისი მე-5 გვერდზე

— ***მოდით, ხელისუფლების გეგმა გავშიფროთ. თქვენი აზრით, რა ხდება დღეს? ამბობენ, რომ ეს ყველაფერი ივანიშვილისათვის მოქალაქეობის არმიცემის გასამართლებლად კეთდება, რომ თქვან, დანაშაულს ჩადისო. ეს ყველაფერი ხომ რაღაცას ემსახურება და კონკრეტულად, რას?***

— რა თქმა უნდა, ამასაც ემსახურება (და ეს უმთავრესია), თუმცა, არა მარტო ამას.

5 აპრილს გადის ვადა, როცა ივანიშვილისათვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი უნდა გადაწყდეს. იცით, რომ 5 იანვარს ივანიშვილმა ნატურალიზაციით მოქალაქეობის აღდგენა მოითხოვა. ეს პროცესი გაწელეს. ეს ჭკუასუსტები დასხდნენ და მსჯელობდნენ, რა უნდა ექნათ. არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ბოლოს, ეტყობა, იფიქრეს, რომ ანტიივანიშვილურ ვაქცინას მიაგნეს. იმიტომ გაიწელა ეს პროცესი, თორემ თებერვლის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო. ამ დროისათვის არ იყვნენ მზად და მზაკვრულ გეგმას ამზადებდნენ. ისინი აპირებენ თქვან, იმიტომ, რომ ივანიშვილი „საზოგადოებისათვის საშიშია", ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობას არ ვაძლევთო. ცნობილია, რომ, კანონის თანახმად, რამდენიმე პირობაა, რათა მოქალაქეობა არ მისცენ ადამიანს, მათ შორის, ესეც შედის. საზოგადოებისათვის საშიშროებას ვინ წარმოადგენს — სააკაშვილი თუ ივანიშვილი, ეს მკითხველმა განსაზღვროს.

— ***გაბედავენ იმას, რომ ივანიშვილს ამ მოტივით უთხრან მოქალაქეობაზე უარი? საქმეში ხომ დიპკორპუსი ასე აქტიურად ჩაერთო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯონ ბასმა როგორი განცხადება გააკეთა.***

— მე ვფიქრობ, რომ მაინც ვერ გაბედავენ. უზარმაზარი ზეწოლაა, არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ჩვენ ამ ზეწოლას ვაძლიერებთ. მოქალაქეობის არმიცემა ჩვენთვის არაფერს შეცვლის და, პირიქით, ეს იქნება იმის აღიარება, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები არჩევნებამდე არიან დამარცხებული. ეშინიათ ერთი ადამიანის, როგორი მდიდარი და ავტორიტეტულიც არ უნდა იყოს ის, აღიარებენ თავიანთ სისუსტეს, ამბობენ, მთელი ჩვენი ზონდერებით, კუდებით, სოდებით, ვერაფერს ვხდებით, ერთმა კაცმა დაგვამარცხა; აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიული შუქურა ჩამოიშალაო. მე კი ვიცი, რისი შუქურაა სააკაშვილი — უბედურებისა. ეს შუქურა 2003 წელს 23 ნოემბერს დაგვიმონტაჟეს და მას მერე ის ბნელი გამოსხივებით გვანათებს. ესენი აქეთ მიილტვიან, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს აქტი ხელმოწერილი იყოს, ივანიშვილი ჩაერთოს წინასაარჩევნო ბრძოლაში საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქედ. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ალტერნატიული გეგმაც გვაქვს.

და კიდევ, კონტროლის პალატის ხელით ატეხილ ამ ისტერიკას ერთი მიზეზიც აქვს. ეს არის ის, რომ რეგიონებში ოფისები იხსნება. ეს სრული კატასტროფაა ხელისუფლებისათვის.

ერთს გეტყვით, იმერეთში შემოდგომაზე, როცა საქართველოში ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, მისი გაზეთი მხოლოდ 200-მა ადამიანმა აიღო წასაკითხად. საუბარია 12 000-კაციან პატარა რაიონზე. ახლა კი 4 ათასზე მეტი გაზეთი მიაქვთ. იცით, რას ნიშნავს ეს ტირაჟი? ეს უზარმაზარი ციფრია. ძველად ოჯახ-ოჯახ დავდიოდით, ახლა ადამიანები თავისით მოდიან, უკვე რიგები დგას. ეს არის ტრაგედია, კატასტროფა სააკაშვილისათვის. ძლევამოსილების ის მითი, რომელიც მას რეგიონებში ჰქონდა შექმნილი, იმსხვრევა. როგორ შეიძლება, ერთი და იგივე საავადმყოფო 8-ჯერ გახსნა და კალოშიანი, შარვლიანი კაცი ჩააწვინო ლოგინში. დედულეთი ბაღდათში მაქვს,

ამ კაცს ვიცნობ და ვიცი, რომ სწორედ ასე მოხდა. ხელი ჰკრეს და ლოგინში უკრეს თავი.

— ***იმედია, ეს ადამიანი ჯანმრთელად არის...***

— ღმერთმა ჯანმრთელად ამყოფოს და, რა თქმა უნდა, კარგადაა. გადარჩენილი ვართ, რომ იქ არ ვიყავით, თორემ თქვენ და მეც შეიძლება ჩავეწვინეთ იმ საწოლში. ეს არის ტრაგიკომედია. მიუხედავად ამ ყველაფრისა, რეგიონებში აღარაფერი შველით. ხალხს მობეზრდა ეს ყველაფერი. ჩვენი შტაბების გახსნით მიზიდულობის ცენტრები იხსნება. არის გამგეობა და ჩვენი ოფისი, დანარჩენი არაფერი ხდება. იქ თავისუფალი და უშიშარი ადამიანები იკრიბებიან და ამ ტერორის ფონზე ადამიანების აქტიურობა კიდევ უფრო იზრდება.

# „ქართული ოცნება" პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებას უპასუხისმგებლობად აფასებს



პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება" მიხეილ სააკაშვილის მიერ უცხოური ქვეყნების საელჩოების მიმართ გაკეთებულ განცხადებას უპასუხისმგებლობად აფასებს.

როგორც კოალიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, სააკაშვილისა და მისი წარმომადგენლების მხრიდან გაკეთებული განცხადებები სცილდება მმართველი გუნდის პოლიტიკურ ინტერესს, სახელმწიფოებთან ურთიერთობის ცივილიზებულ ფორმებს და საშიშ ტენდენციას იღებს.

„ასეთ განცხადებებს არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავმოყვარეობასთან და გამოწვეულია მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის" გარდაუვალი დამარცხების შიშით", — ნათქვამია განცხადებაში.

„ქართული ოცნების" შეფასებით, ხელისუფლების ზღვარგადასული და გაუგონარი რიტორიკა კოალიციის საქმიანობის გააქტიურებასთან ერთად იზრდება.

„ხელისუფლება კარგად ხვდება, რომ მისი ძალაუფლებაში ყოფნა დასასრულს უახლოვდება და აგონიაში ჩავარდნილი. სხვა რამ არ შეიძლება ეწოდოს მიხეილ სააკაშვილის მხრიდან საქართველოს სტრატეგიული და პარტნიორი ქვეყნების საელჩოების მიმართ გაკეთებულ ყოვლად შეურაცხმყოფელ და უპასუხისმგებლო განცხადებებს, რომლებსაც ახლა უკვე ერთმანეთის მიყოლებით, დიდი მონდომებით აგრძელებენ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები და სახელისუფლებო ექსპერტები", — აღნიშნულია განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი



# დიღმის მასიველი მანიაკი არასრულწლოვანი გოგონა აღმოჩნდა

შალვა ჯოხაძე



მანიაკია თუ, უბრალოდ, კრიმინალი, ჯერ არ არის გარკვეული, თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტრო გვამშვიდებს, რომ დიღმის მასივში ორიოდე დღის წინ მომხდარი თავდასხმის ფაქტები გახსნილია. პოლიციის ინფორმაციით, ეჭვმიტანილი გოგონა უკვე დაკავებულია.

შსს-ს ინფორმაციით, დიღმის მასივში მომხდარი თავდასხმის ორ ფაქტთან დაკავშირებით ვაკე-საბურთალოს პოლიციის თანამშრომლებმა 16 წლის, არასრულწლოვანი გოგონა დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულმა ჩადენილი დანაშაული უკვე აღიარა.

„რუსთავი 2"-ის ცნობით, გოგონას ფსიქიკური პრობლემები აქვს და სწორედ ამიტომ დაესხა თავს ადამიანებს. გოგონა თბილისის პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში გადაიყვანეს და დაკითხვა ჩაუტარეს.

შეგახსენებთ, რომ 16 წლის გოგონა დიღმის მასივში თავს ორ პირს, შუახნის ქალბატონსა და 14 წლის მოზარდს დაესხა.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, თავდამსხმელმა შუახნის ქალბატონს ყელზე თოკი მოუჭირა, არაფერი უთხოვია, მსხვერპლმა რამდენიმე წუთით გონებაც დაკარგა, თუმცა, დაყვირება მოასწრო. შემთხვევის ადგილზე გამვლელებმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლები გამოიძახეს. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ იგივე აღწერილობის გოგონა 14 წლის ბავშვს დაესხა თავს, რომელიც სკოლიდან სახლში ბრუნდებოდა. ბავშვი ამბობს, რომ მასაც თოკი მოუჭირეს ყელზე. ბავშვის მონაყოლიდან ირკვევა, რომ გოგონა მას ფულს სთხოვდა, შემდეგ დაბმულ მდგომარეობაში სადარბაზოსთან დატოვა.

როგორც „ინტერპრესნიუსთან" საუბარში დაზარალებულმა, 14 წლის მოზარდმა განაცხადა, გოგონა მას უკნიდან მიეპარა, ყელზე თოკი მოუჭირა და სადარბაზოში შეათრია. როგორც ბავშვი ამბობს, ეზოში ის მეგობრებთან და ძმასთან ერთად იმყოფებოდა.

– ყვიროდა, არ მომიახლოვდეთ, თორემ მოვკლავო. მე კი მეუბნებოდა, ნუ გეშინია, არ მოგკლავო. თუ მომიახლოვდებოდა ვინმე, თოკს ყელზე უფრო მიჭერდა. ჩემმა პატარა ძმამ კაცებს დაუძახა, ისინი მაღაზიაში მუშაობენ. მათ გააშვებინეს, – აღნიშნა მოზარდმა.

მისივე თქმით, ძალიან შეეშინდა და ეს ფაქტი ხუმრობას ნამდვილად არ ჰგავდა. მოზარდი ამჟამად სახლში იმყოფება და მკურნალობის კურსი უტარდება. ოჯახის წევრების განცხადებით, ბავშვმა ძლიერი ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო. დედის განცხადებით, გამოძიებამ ბავშვი დაკითხა და ჩვენების მისაცემად კიდევ დაიბარა.

# საპარლამენტო უმრავლესობამ უკან დაიხია

შალვა ჯოხაძე




კამპანია „ეს შენ გეხებას" წარმომადგენელი არასამთავრობო ორგანიზაციები ამ დღეებში პარლამენტს კიდევ ერთხელ ესტუმრნენ და იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან კონსულტაციები გამართეს.

– დადებითად ვაფასებთ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს შორის გარკვეულ საკითხებზე მიღწეული შეთანხმების ფაქტს და პარლამენტის მზაობას, გაითვალისწინოს სამოქალაქო სექტორის წინადადებები საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწასთან დაკავშირებით, – აცხადებენ არასამთავრობოები.

მათი ინფორმაციით, შეთანხმება შემდეგ საკითხებზეა მიღწეული: კანონში აღარ იარსებებს პოლიტიკურ პარტიასთან პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებულ პირთა ცნება; პოლიტიკური სიმპათიის ან ანტიპათიის გამოხატვის გამო კონტროლის პალატას აღარ ექნება უფლება, პირს დაუწესოს შეზღუდვები; დავიწროვდება და მკაფიოდ განისაზღვრება იმ პირთა წრე, რომლებზეც გავრცელდება პოლიტიკური პარტიისათვის დაწესებული შეზღუდვები; ამომრჩეველს აღარ დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა პარტიისგან რაიმე სარგებლობის მოთხოვნის გამო; პირს არ შეეზღუდება სამეწარმეო საქმიანობა, თუ ის უშუალოდ არ უკავშირდება საარჩევნო მიზნებს; კონტროლის პალატას აღარ ექნება ქონებაზე ყადაღის ერთპიროვნულად დადების უფლება. ყადაღა შეიძლება დაედოს მხოლოდ სადავო თანხას/ქონებას და ისიც მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით; შემცირდება სანქციებისა და ჯარიმების ოდენობა; „პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ" კანონის დარღვევისთვის აღარ გაუქმდება პოლიტიკური პარტიების საარჩევნო რეგისტრაცია.

– იმედს გამოვთქვამთ, რომ მიღწეული შეთანხმება სრულად იქნება ასახული პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებში და გაგრძელდება თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის და კანონმდებლობის დასახვეწად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კანონის სათანადო აღსრულება, კონტროლის პალატის მოქმედება მკაცრად რეგულირებულ ჩარჩოებში, რათა გამოირიცხოს კანონდარღვევისა და უფლებამოსილების გადამეტების შესაძლებლობა, – აცხადებენ არასამთავრობოები.

„ეს შენ გეხებას" მონაწილეები აღნიშნულ შეთანხმებას განიხილავენ, როგორც არასამთავრობო სექტორის, მედიისა და მოქალაქეთა ერთიანი ძალისხმევისა და საერთაშორისო მხარდაჭერის შედეგს.

– მიგვაჩნია, რომ ეს არის პირველი წარმატებული ნაბიჯი, რომელსაც უნდა მოჰყვეს სამოქალაქო საზოგადოების უფრო მეტი აქტიურობა თავისუფალი და სამართლიანი გარემოს შექმნისთვის, – დასძენენ კამპანიის მონაწილეები.

# ნინო ბურჯანაძე: ურეიტინგო რომ ვიყო, ჩემზე ამდენს არ ილაპარაკებდნენ

დასაწყისი მე-4 გვერდზე



თველოსთან დალაგებული ურთიერთობა, ვიდრე ის კონფრონტაციული რეჟიმი, რომელიც ახლაა, გარდა ამისა, ამ შეხვედრას კონკრეტული შედეგები მოჰყვა. ამ შეხვედრის შემდეგ გაკეთდა განცხადებები, რომ არ არსებობს რუსეთ–საქართველოს შორის პრობლემები, რომელიც დახურულია სალაპარაკოდ; მანამდე გაკეთდა განცხადება რუსეთის საგარეო უწყების მიერ, რომ აფხაზეთისა და ოსეთის შესახებ თემა სასაუბროდ საქართველოსთან დახურულია და ამაზე საუბარი აღარ იქნება, ამ შეხვედრის შემდეგ კი ამ თემაზე ტაბუ მოიხსნა, მეტიც, ითქვა, რომ არ არსებობს რუსულ–ქართულ ურთიერთობებში გადაუწყვეტელი საკითხები. მეორე შეხვედრის შემდეგ ამას მოჰყვა კონკრეტული შედეგები, რომელიც, რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ უკუღმა თარგმნა, სადაც პუტინმა თქვა, თუ ქართველი ხალხი აფხაზ და ოს ხალხთან მოილაპარაკებს, რომ ერთიან სახელმწიფოში იცხოვრონ ან თვითონ ისაუბრებენ, როგორ უნდა განავითარონ ურთიერთობები, ჩვენ ამაში არ ჩავერევით და ხელს არ შევუშლითო. ეს იყო ჟესტი, რომლითაც ითქვა, რომ თუ წავა მოლაპარაკების პროცესი და არ იქნება კონფრონტაცია, ამ შემთხვევაში რუსეთი ითამაშებდა კონსტრუქციულ როლს. სწორი და ადეკვატური ქმედებების შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაცია.

***– პუტინი მილოცვებს იღებდა, ჟურნალისტებთან კომენტარებს არიგებდა და იქ, ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა აღარ გადაიხედება. როგორია თქვენი შეფასება ამ განაცხადზე?***

– ასეთი ტიპის განცხადებები არ კეთდება სახელდახელო პრესკონფერენციებზე, რას ველოდებით, ორი დღის არჩეული პუტინი გამოვა და იტყვის, წინა პრეზიდენტის მიღებულ გადაწყვეტილებას გადავხედავო? ასეთი განცხადება რომ გაკეთდეს, მას უზარმაზარი წინასწარი მოსამზადებელი სამუშაო სჭირდება. არ უნდა მოსთხოვო რუსეთს, რომ ამ საკითხს გადახედოს, ისე უნდა დაალაგო ურთიერთობები აფხაზებთან და ოსებთან და ამ ურთიერთობების დალაგებაში ისე პოზიტიურად უნდა ჩართო რუსეთი, რომ აქამდე ლოგიკურად მიყვიდეს საქმე. ისე უნდა იმოქმედო, რომ ეს იყოს საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ უნდა იმოქმედო ასევე ისე, რომ რუსეთს არ ჰქონდეს იმის განცდა, რომ ის, რის გაკეთებასაც შენ მისგან ითხოვ, მისთვის არის საფრთხის მატარებელი და მისთვის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მიუღებელია. რუსეთის ინტერესებში ერთიანი საქართველო უფრო შედის, ვიდრე დანაწევრებული და არასტაბილური. ამ ყველაფერს გრძელვადიანი მუშაობა სჭირდება.

***– მე წავიკითხე თქვენი ინტერვიუ ქალბატონ ნანა დევდარიანთან, თქვენ სვამთ ლოგიკურ კითხვას, თუ არ მესინჯება პულსი და ვარ 0%–ის მქონდე პოლიტიკოსი, რატომ არის მუდმივად ატეხილი აჟიოტაჟი ჩემი ფიგურის გარშემო. მართლაც რატომ არის თქვენს გარშემო ამდენი ხმაური ატეხილი?***

– მიმაჩნია, რომ არ არის სწორი, რასაც ამბობენ, არა აქვს რეიტინგი, პულსი არ ესინჯება და ა. შ. თავად ვარდებიან უხერხულ მდგომარეობაში. ამდენს ლაპარაკობ ადამიანზე, რომელიც ფაქტობრივად არ არსებობს, არაერთხელ მსმენია, კრება გარდაიცვალა, ეს განცხადებები კეთდებოდა 2010 წლის 25 ნოემბერს. ამის შემდეგ შეძლო კრებამ უპრეცედენტო რაოდენობის ადამიანების მობილიზაცია აბსოლუტურად ტერორისტულ გარემოში. რატომ იყო წივილ–კივილი ატეხილი, კრება მოკვდა, აღარ არსებობს, ზოგიერთებმა ისიც თქვეს, კრების ქელეხიაო, 25 ნოემბრის შემდეგ. კრებაში ხედავდნენ ძალას, კონკურენტს, იმ უზარმაზარ ერთობას, რომელიც შეიძლება ყოფილიყო მათთვის საფრთხის მატარებელი. როცა ამას ხელისუფლება აკეთებს, ეს სრულიად გასაგებია, ხელისუფლება ცდილობს ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის იგნორირებას, მათ ტელევიზიებში დაახლოებით ათ თვეზე მეტია არ გამოვჩენილვარ, ეს აბსოლუტურად შეგნებულად კეთდება და ადამიანებს ეუბნებიან, ბურჯანაძე არ არის ქვეყანაში და რამდენიმე დღით ჩამოდისო, რაც აბსურდია. მტკნარი სიცრუეა, თვენახევარია ქვეყნიდან ერთი დღითაც არ გავსულვარ. ყველაზე მეტი სამი–ოთხი დღით გავდივარ. ამას როცა აკეთებენ ოპოზიციური პარტიები, მესმის, რომ ეს არის კონკურენციის შიში, მაგრამ მიუღებელია იმიტომ, რომ ამით საერთო საქმე ზარალდება. როცა ოპოზიციური პარტიები სიტყვა–სიტყვით იმეორებენ ხელისუფლების კაბინეტებში დაწერილ კლიშეებს და შეფასებებს ჩემთან დაკავშირებით, ეს სერიოზულ ეჭვს აჩენს კავშირებთან დაკავშირებით და იმაზეც, თუ რა ინტერესი აქვთ ამის იქით ოპოზიციურ პარტიებს. თუ ჩვენ პრინციპულად არ ვაკრიტიკებთ ოპოზიციურ პარტიებს და არ ვპასუხობთ ამ გამოხტომებს, თუმცა გარწმუნებთ, გაცილებით უფრო პროფესიულად და არგუმენტირებულად გავაკრიტიკებთ მათ, ვიდრე ჩვენ გვაკრიტიკებენ, ამას იმიტომ კი არ ვაკეთებთ, რომ ვინმეს რამეს ვეხვეწებით, არამედ იმიტომ, რომ მიგვაჩნია, დღეს არ არის იმის დრო, რომ ოპოზიცია ერთმანეთს ებრძოდეს. თუ მართლა ოპოზიცია ხარ, დღეს უნდა ებრძოდე სააკაშვილს და მის რეჟიმს. გამოვიდა სააკაშვილი და სისულელე მოჰყვა, გუდაურში თურმე მის მინისტრს რომელიღაცა ყოფილმა მაღალჩინოსანმა ბინის ყიდვა შესთავაზა. დასაჭერია ის კაცი. ეს არის თანამდებობის პირისთვის ქრთამის შეთავაზება, რაც სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება. თუ პრეზიდენტმა იცის, რომ მის მინისტრს ქრთამი შესთავაზეს, რატომ არ იჭერენ იმ კაცს? მე და შენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთო, უთხრაო. ეს სირცხვილია. ხომ არ შეიძლება ამდენი სისულელე ვისმინოთ? ჩვენი ოპოზიცია კი, რომელიც დღეს რომ მოვა ხელისუფლებაში, ხვალ აყვავებას გვპირდება, დაკავებული იყოს ბურჯანაძესთან ბრძოლით. არ გამიგია ისეთი გააფთრებით და ტონით სააკაშვილის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები, როგორც ეს კეთდება ბურჯანასთან მიმართებაში. მე ამას მიჩვეული ვარ, ავიტან, საჩემოდ გამოვიყენებ, იმიტომ, რომ სწორი ვარ, მაგრამ საქმე ფუჭდება.

# პაატა ჯიბლაძე: არჩევნების გამყალბებელი ჭიაბერაშვილი მინისტრი არ უნდა იყოს!

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტია საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალურ საქმეთა მინისტრად ზურაბ ჭიაბერაშვილის დანიშვნას აპროტესტებს და საზოგადოებას მოუწოდებს, გააპროტესტოს სააკაშვილის მხრიდან ცნობილ გამყალბებელთა ხელახლა შემოკრება, რომლებიც დღეისათვის ქვეყნის გარეთ არიან დიპლომატიური მისიით.

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ პრესკონფერენცია გამართა და თუნდაც ამ მიუღებელი საკადრო პოლიტიკის გამო საზოგადოებას 29 მარტს დანიშნულ აქციაზე გამოსვლისკენ მოუწოდა.

– სააკაშვილის მონა-მორჩილი საპარლამენტო უმრავლესობა დღეს ჯანდაცვის მინისტრად ერთხმად დაამტკიცებს ყოფილ რესპუბლიკელს, სოროსელსა და თავისუფლების ინსტიტუტელს, არჩევნების ცნობილ გამყალბებელს, ფალოსოფოსობის მიმდევარ ზურაბ ჭიაბერაშვილს. პრეზიდენტი პრინციპით – გამყალბებლებო ყველა ქვეყნიდან, შეერთდით, თავს უყრის მთელ ფალსიფიკატორთა არმადას უმაღლეს სახელისუფლებო ვერტიკალში. სწორედ ამიტომ, სანამ დროა, გამოდით 29 მარტს, 15 საათზე პარლამენტის წინ გაყალბების საწინააღმდეგო მიტინგზე. ვუჩვენოთ „წითელი ბარათი" ბიულეტენების ვირთხებს, პროჭიაბერისეულ ხელისუფლებას, – განაცხადა პაატა ჯიბლაძემ.



როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, საზოგადოებას ძალიან კარგად ახსოვს, როგორ დააჯილდოვა პრეზიდენტმა ბატონი თუ არ ვიცი, რა ვუწოდო, ზურაბ ჭიაბერაშვილი ჯერ ქალაქის მერის თანამდებობაზე, შემდეგ – ევროკავშირში, იმის გამო, რომ მან მასობრივად გააყალბა 2004 წლის საპარლამენტო არჩევნები, ისევე, როგორც შემდეგ – საპრეზიდენტო არჩევნები.

– ჩვენთვის, ისევე, როგორც თითოეული ქართველისთვის, მიუღებელია ავადმყოფი ადამიანის ანუ ქვეყნის პირველ ექიმად, თუ შეიძლება ასე ითქვას, დანიშვნა ჯანდაცვის მინისტრად, იმიტომ რომ, ჩვენი აზრით, ეს ადამიანი ანუ ზურაბ ჭიაბერაშვილი თვითონ არის სამკურნალო, – აღნიშნა პაატა ჯიბლაძემ და რევოლუციურ ეიფორიაზე თბილისის მერად მოსული ზურაბ ჭიაბერაშვილის ცნობილი გამონათქვამები გაიხსენა „ქართლის დედასთან" დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ჭიაბერაშვილის ამ „ბრძნულმა" შედარებებმა და ასოციაციებმა საზოგადოებაში სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. ეს ყველაფერი კარგად ახსოვთ ლეიბორისტებს, რომლებმაც, პაატა ჯიბლაძის თქმით, ჭიაბერაშვილის წარსული ასოციაციებიდან გამომდინარე, მისი ჯანდაცვის მინისტრად დანიშვნა, ფაქტობრივად, ასე შეაფასეს – ჭიაბერაშვილი სწორად გაამწესეს ჯანდაცვის სფეროში, ანუ ექიმთა გარემოცვაში, ოღონდ ის არა მინისტრის, არამედ, როგორც ჯიბლაძემ მიუთითა, პაციენტის რანგში უნდა იყოს, რადგან თავად არის სამკურნალო.

– ეს არის ადამიანი, თუ მას შეიძლება ადამიანი ვუწოდოთ, რომელსაც „ქართლის დედის" მიმართ სხვადასხვა გრძნობა აღეძვრება; ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ „ქართლის დედას" ფიალის მაგივრად, მოგეხსენებათ, ეს მისი სიტყვებია და არა ჩემი – საშო უჭირავს, ხოლო ხმლის მაგივრად – ფალოსი. სწორედ ამიტომ, მეგობრებო, ჩვენ ერთად 29 მარტს უნდა გავაპროტესტოთ ამ გამყალბებელთა ბანდის მომავალი ქმედებები; ვუჩვენოთ მათ „წითელი ბარათი", რათა ერთხელ და სამუდამოდ დაისვენოს ქვეყანამ ამ ავადმყოფი მინისტრებისა თუ უმაღლესი თანამდებობის პირებისგან, – აღნიშნა პაატა ჯიბლაძემ.

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელი ფიქრობს, რომ არ შეიძლება მსგავს საკადრო პოლიტიკასა და ანტიეროვნულ, ანტიქართულ ნაბიჯებს, მით უმეტეს, შემოდგომაზე დანიშნული არჩევნების გაყალბებას საზოგადოება შეეგუოს. ამის არდაშვებისთვის, ჯიბლაძის აზრით, პროტესტი დღეიდანვე უნდა დაიწყოს.

აღსანიშნავია, რომ ლეიბორისტული პარტია გაყალბების საწინააღმდეგო აქციებს უკვე რამდენიმე თვეა ატარებს, თუმცა, ამ აქციების მასშტაბი არც ისე დიდია.

შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ ხალხის არგამოსვლა საპროტესტო აქციებზე „ქართული ოცნების" ლიდერის – ბიძინა ივანიშვილის განცხადებებია, რომელიც ფიქრობს, რომ ახლა აქციების დრო არ არის და როგორმე მშვიდად უნდა მივიდეთ არჩევნებამდე.

ივანიშვილის ამ პოზიციას არ იზიარებენ ლეიბორისტები და ამტკიცებენ, რომ არჩევნები არჩევნებამდე უნდა მოიგოს საზოგადოებამ და ოპოზიციამ და მერე არჩევნების გაყალბების გამო გამოხატული პროტესტი, რასაც ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნება" გეგმავს, სათანადო შედეგის მომტანი ვერ იქნება.

# სამხედრო სარეზერვო სამსახურის ახალი კონცეფცია უკვე მომზადებულია

ნათია ხურცილავა


მანანა მანჯგალაძე

საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერ მანანა მანჯგალაძის განცხადებით, გერმანია რჩება საქართველოს მოკავშირედ და მხარდამჭერად ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე. ამის შესახებ მანჯგალაძემ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ გვიდო ვესტერველეს საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით საუბრისას განაცხადა. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, რომ გერმანია ასევე რჩება უპირობო მხარდამჭერი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისა. როგორც მანანა მანჯგალაძემ აღნიშნა, სააკაშვილისა და ვესტერველეს შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრეს, მათ შორის, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე.

მანჯგალაძის განცხადებით, სამხედრო სარეზერვო სამსახურის ახალი კონცეფცია უკვე მომზადებულია.

თუმცა, პრესსპიკერმა დამატებითი დეტალების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა. როგორც მანანა მანჯგალაძემ აღნიშნა, ჟურნალისტებს დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად შეუძლიათ მიმართონ თავდაცვის სამინისტროსა და უშიშროების საბჭოს. პრეზიდენტის პრესსპიკერმა ასევე ისაუბრა ახალ კანონზე. საქართველოს კანონი ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტის დღგ-სგან გათავისუფლების შესახებ უკვე ძალაში შევიდა.

როგორც პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, შესაბამის ბრძანებულებებს პრეზიდენტმა ხელი გუშინ მოაწერა და ის უკვე ძალაშია შესული. მისი განცხადებით, ამ საკანონმდებლო ცვლილებამდე საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არ იყო მიმზიდველი სადისტრიბუციო კომპანიებისა და სავაჭრო ქსელისთვის, ამიტომ სავაჭრო ობიექტები უპირატესობას იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ანიჭებდნენ, რადგან საგადასახადო დაბეგვრის კუთხით ბევრად მომგებიანი იყო იმპორტირებული პროდუქციით ვაჭრობა. მანჯგალაძის თქმით, ამ ცვლილებების შედეგად საგადასახადო დაბეგვრის კუთხით საქართველოში მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გაუთანაბრდა იმპორტირებულ ანალოგს.

– შედეგად სავაჭრო ქსელისთვის საკმაოდ მიმზიდველი გახდება ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რაც თავის მხრივ შეუწყობს ხელს საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას. ქართველი გლეხი და ფერმერი შეძლებს მის მიერ მოწეული მასალის რეალიზაციას და მიიღებს მეტ მოგებას, – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებით, პროფესიული გადამზადების 1000-ლარიანი ვაუჩერი ამ დროისთვის 1500 ადამიანმა მიიღო.

მისივე თქმით, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა საგაზაფხულო რეგისტრაცია გუშინ დაიწყო და ის 20 აპრილამდე გაგრძელდება. რეგისტრაცია, თბილისის გარდა, ქუთაისისა და ქობულეთის საინფორმაციო ცენტრებში მიმდინარეობს.

მანანა მანჯგალაძის განცხადებით, პროფესიული გადამზადების ვაუჩერისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 7 მლნ ლარი გამოიყო. ამ თანხით სწავლის საშუალება 7 000 ადამიანს მიეცემა. როგორც მანჯგალაძემ განმარტა, ვაუჩერით სრულად დაფინანსდებიან სოციალურად დაუცველი სტუდენტები, მიმდინარე წლის ცხრაკლასდამთავრებულები, მე-12 კლასელები, რომლებმაც სკოლის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტეს პროფესიული განათლების მიღება.

# თემურ შაშიაშვილი: ქართველი ხალხი არავის მიეყიდება!“



ქართველი ხალხი რუსეთს, ამერიკას ან ევროპას არ მიეყიდება. ამის შესახებ განცხადებას პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი აკეთებს.

მისი თქმით, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ქართველი ხალხი სულს არ ყიდის და ამაზე ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი და უახლესი ისტორიაც მეტყველებს.

– ქართველი ხალხი რომ იყიდებოდეს, პრეზიდენტი წინასაარჩევნოდ ასე დამფრთხალი არ იქნებოდა, ასეთი გაშმაგებით არ ირბენდა კუთხიდან-კუთხეში და არ დაარიგებდა მათხოვრულ ვაუჩერებს, რომლებიც ისევ იმ ხალხის ჯიბიდანაა ამოღებული რომელსაც დღეს ურიგებს, როგორც თავის პირად წყალობას, – აცხადებს შაშიაშვილი.

„თეთრების“ ლიდერი აღნიშნული განცხადებით, პრეზიდენტის გამოსვლას გამოეხმაურა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, რუსეთმა და „გაზპრომმა“ ქართველი ხალხის მოსასყიდად სოლიდური თანხები გამოჰყვეს.

ნიუსპრესი

# ნინო ბურჯანაძე: ნაკლებად მაქვს იმის ილუზია, რომ ოპოზიციის წინადადებებს ხელისუფლება გაიზიარებს“

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ხელისუფლების მხირდან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ოპოზიციის ხედვების გაზიარების იმედი არ აქვს. ამის შესახებ მან გუშინ სასტუმრო „ვერე პალასში“ ოპოზიციური პარტიების მრგვალი მაგიდის შეკრებაზე განაცახდა.

– მოხარული ვარ, რომ დღეს აქ ოპოზიციური პარტიები შეიკრიბნენ. ისინი არა მხოლოდ ფასადურად, არამედ რეალურად შეცვლიან საარჩევნო გარემოს. ნაკლებად მაქვს იმის ილუზია, რომ ამ წინადადებებს ხელისუფლება გაიზიარებს, თუმცა, არგუმენტირებულ აზრს მაინც დავაფიქსირებთ, – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, „დემოკრატიული მოძრაობა“ სხვა პოლიტიკურ პარტიებს საკუთარ წინადადებებს გააცნობს.

„სახალხო კრება“ და „დემოკრატიული მოძრაობა“ მუდმივად ხაზს ვუსვამთ, რომ 5 კომპონენტის გარეში როგორიცაა – თავისუფალი მედია, თავისუფალი ბიზნესი, თავისუფალი სასამართლო, არაპოლიტიკური პოლიცია და დამოუკიდებელი ცენტრალური საარჩევნო კომისია სამართლიანი არჩევნების მიღწევა შაუძლებელი იქნება, – აღნიშნა ნინო ბურჯაანძემ.

ნიუსპრესი

# შალვა ხაჭაპურიძე: სააკაშვილი გუნდს ველარ შეინარჩუნებს!“

შორენა კოწოწაშვილი


შალვა ხაჭაპურიძე

**რატომ იხურება თბილისში სუპერმარკეტები, რა კავშირი აქვს ამასთან პრეზიდენტის ოჯახს და ვის შეუერთდება ვანო მერაბიშვილის პარტია? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფის“ წევრთან, ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან.**

***– ბატონო შალვა, პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ პუტინის ძველით ახალ ადმინისტრაციასა და საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას შორის არაერთ საკითხზე მიმდინარეობს მოლაპარაკება-შეთანხმება და ეს, თავის მხრივ, ურთიერთობებსაც დაათბობს ქვეყნებს შორის. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

– პუტინის რუსეთთან ურთიერთობა ოფიციალურად არ დათბება, იმიტომ რომ სააკაშვილი არის პუტინის აგენტი. როგორ შეიძლება, ორმა აგენტმა ასეთი ღია სვლები გააკეთოს ანდა კაგებეს გენერალმა კაგებეს მაიორი სააკაშვილი გაშიფროს. გამორიცხულია, რომ ამათ შორის ოფიციალურად რაიმე დათმობა მოხდეს. მტრის ხატის შექმნა მოხდა რუსეთისგან. დაუთმო მას ტერიტორიების 20% და ამან უნდა აგინოს, იმანაც უნდა აგინოს. ამასობაში, ნახეთ, რა ხდება: ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლაში პუტინს ფული აქვს გადახდილი. რუსეთს უზარმაზარი რესურსი აქვს ამაში დახარჯული. იმ ჭკუაზეა ახლა პუტინი, რომ საქართველო ისეთ ძალებს ჩაუგდოს ხელში, რომელიც მართლა რეალურად დაუყენებს პუტინს საკითხს და მართლა რეალურად დაუწყებს პრობლემების დარეგულირების პროცესს, საერთაშორისო ორგანიზაციებით იქნება ეს თუ ა.შ. საერთოდ, აგერ არ ჰყავს თავისი ყურმოჭრილი მონა – უპირველესი აგენტი?! ეს გარეგნულად იყვირებს, ისიც იყვირებს, იტყვი – ერთი ადგილით ჩამოგკიდებ. ესეც იყვირებს, არ ჩამოვეკიდები იმ ადგილით და ა.შ. პოლიტიკა თუ არ იცით, სპეციალური სახელმძღვანელო არსებობს, სადაც მეოთხე თავში წერია, თუ არა გყავს მტერი, ძალით უნდა შექმნა. მეგობარს უნდა სთხოვო, ჩემი მტერი იყავი სხვის დასანახავადო. რუსეთზე თუ არ იყვირე, აბა, ვის უნდა დააბრალო, რომ ქვეყანა ჩაწვა კორუფციაში. მისმა ოჯახის წვერებმა აღარ იციან, რითი აკეთონ ბიზნესი. ნახეთ, თბილისში რა ხდება, სუპერმარკეტები იკეტება. მისი ოჯახის წევრები ხსნიან ახალ სუპერმარკეტებს და დაახურვინეს სხვებს. ამ ბიზნესმენებს ხომ თავი არა აქვთ, რომ ხმა ამოიღონ და პროტესტი გამოთქვან. ცხვრებივით არიან, მერე დაიჭერენ და ყრიან ციხეებში. იქაც ხმას ვერ იღებენ, ჩვენს ოჯახებს არაფერი დამართონო. ეს კარგად იცის სააკაშვილმა და, რაც უნდა, ყველაფერს კარგად აკეთებს. იმ ექსპერტებსაც რა ვუთხარი, იექსპერტონ, რამდენიც უნდათ. ვინ ებრძვის რუსეთს, რას ებრძვის. კიდევ ერთხელ გეუბნებით: სააკაშვილი უპირველესი აგენტია რუსეთის. რუსეთი შეეცდება ერთ რამეს; ნაციონალური მოძრაობა ისევ დატოვოს ხელისუფლებაში. მათ ძალიან კარგად იციან, რომ სააკაშვილს ველარ დატოვებენ. მაგრამ ნაცმოძრაობის დატოვებაზე მუშაობა მიდის. ეს იქნება გიგა ბოკერიას ფრთა. ვანო მერაბიშვილი უკვე მუშაობს პარტიის შექმნაზე. ამ პარტიას შეუერთდება მერე გიგა ბოკერიაც. მერე მიემატება კახა ბენდუქიძე და ძმანი მისნი. მართალია, ეს ძნელად განსახორციელებელი სპეცოპერაცია იქნება, მაგრამ ამ სპეცოპერაციის განხორციელებაზე სერიოზული მუშაობა მიდის. ისე, რომ იცოდეთ, უკვე დარეგისტრირებულ პარტიასაც კი ეძებს ვანო მერაბიშვილის მოადგილე ამირან მესხელი – მერაბიშვილის მარჯვენა ხელი.

***– საიდან იცით, რომ მერაბიშვილი ადრე რეგისტრირებული პარტიის ბაზაზე ახალ პარტიას ქმნის?***

– ამას ზღაპრების დონეზე არ გიყვებით, დადის მესხელი, ასეთ პარტიას ეძებს და მოლაპარაკებებს აწარმოებს. ამასობაში ბაჩო ახალაია აპირებს, შს მინისტრად ვანო მერაბიშვილის სავარძელში გადაბარგდეს. მერე ნახავთ, რა ამბავი ატყდება ქვეყანაში, სისხლისღვრა და უბედურება. იმასაც დაინახავთ, მერაბიშვილი პარტიას რომ შექმნის, ხალხი რომ დაიწყებს „ვანო მაგარიას“ ძახილს.

***– დაზუსტებული ინფორმაცია გაქვთ, რომ მერაბიშვილი პარტიას ქმნის, ანუ მას პოლიტიკური ამბიციები უკვე გაუჩნდა?***

– კი. დაზუსტებული ინფორმაცია მაქვს. ჰაერზე კი არ ვლაპარაკობ ამას. მესხელი დარბის და, თუ არ გჯერათ, დაურეკეთ იმ პარტიებს, რომლებიც ქაღალდზე ფუნქციონირებენ. რამდენიმესთან უკვე მივიდნენ და უთხრეს, მესხელს პარტია სჭირდებაო. ამაში ჩართულია სამცხე-ჯავახეთის პოლიციის ყოფილი უფროსი. ეს ერთი მიმართულება. თუმცა, აქ რამდენიმე მიმართულებაა. მე პოლიტიკურ პროგნოზს კი არ გიკეთებთ, რეალურად ხდება ეს ყველაფერი.

***– ეს გამორჩა სააკაშვილს თუ აწყობს ამ გეგმის განხორციელება?***

– სააკაშვილს ვინლა ეკითხება. მთავარია, მან პროცესი არჩევნებამდე მიიყვანოს. მერე იქ დიდ როლს რუსეთი თამაშობს. სააკაშვილისნაირი „პეშკები“ ვერაფერს წყვეტენ, როცა ამხელა ქვეყნის ინტერესებია. ჩვენ გვგონია სააკაშვილი ვიღაც. ის არის ტანად დიდი, ტვინად პატარა ბიჭუკელა. ელიზბარ ჯაველიძის არ იყოს, ბავშვები ფეხბურთს რომ თამაშობდნენ, სააკაშვილი ხეზე ადიოდა, მეშინია, ბურთი არ მომხვდესო. რაღა დროს სააკაშვილია. რუსეთს ყველაფერი თავზე ეხურება. ნაციონალური მოძრაობა თუ გაქრა აქედან, რუსეთს დასაყრდენი აღარ რჩება საქართველოში. ამას ვერ ხვდებით?! რუსეთი ცდილობს, გადაარჩინოს ნაციონალური მოძრაობის სახით თავისი დასაყრდენი ძალა საქართველოში. სააკაშვილი წავა და ნახავთ, რომ ხალხი ამას ტაშს დაუკრავს. თუ გგონიათ, რომ ეს ხალხი მას ტაშს არ დაუკრავს? წავა და ლექციებს წაიკითხავს, ამერიკაში ჩავა, იტყვის, რუსეთის კაცი არა ვარო და სამ წელიწადში, თუ მოუნდება, ისევ დაბრუნდება ქართულ პოლიტიკაში. მილიარდერია კაცი. ბიძინა ივანიშვილზე მეტი ფულის მფლობელია, იცით თქვენ?! მოტრიალდება და კიდევ პოლიტიკაში მოვა. აგერ ოპოზიციაში ჩადგება და იყვირებს ხელისუფლების წინააღმდეგ. ჟურნალისტებიც დააპიარებენ და პოლიტიკოსებიც დადგებიან მის გვერდით. ყველას დაავიწყდება, რომ სააკაშვილი 8 წელია სისხლს სწოვს.

***– ბატონო შალვა, პრეზიდენტმა პარლამენტის ტრიბუნიდან ძირითადად გუნდის გასამხნევებელი განცხადებები გააკეთა და ხალხს დაანახვა, რომ ისევ ერთპიროვნული ლიდერია.***

– ჰოდა, ველარ გაამხნევებს. გუნდის შენარჩუნება აღარ გამოუვა. ყველა ხვდება, რომ სააკაშვილი დამთავრებულია. რა გგონიათ, მერაბიშვილი სააკაშვილს გადააყოლებს თავის თავს? განზე გადგება და გაჩუმდება. კიდევ კაცმა არ იცის (ახლა არ მინდა ამაზე ლაპარაკი), ეს პარტია თავს სად ამოყოფს, ოპოზიციის რომელ ფრთაზე. ამაზე განცხადების გაკეთება ჯერჯერობით არ მინდა, თორემ მაგაზეც არსებობს გარკვეული ინფორმაციები.

***– პრეზიდენტის მხრიდან ანტინარკოტიკული კამპანიის გააქტიურებაზე რას იტყვით?***

– პარტიაში ვინც ჰყავს მორფინისტები, იმათ თუ დაერევა, თორემ დანარჩენი, მორფინისტი და წამლის გამკეთებელი საქართველოში აღარ არის დარჩენილი. წამალიც მაგათ შემოაქვთ, ტრანზიტულ ქვეყნად მაგათ აქციეს. ამის შესახებ დოკუმენტურად გვაქვს დასაბუთებული განცხადებები გაკეთებული მე და ლალი აფციაურს. ახლა თავის გუნდში თუ დაერევა ნარკოგამსაღებლებს, არ ვიცი. გარეთ თუ ვინმე იყო, დაჭერილი ჰყავს. ზოგი ტყუილი ბრალდებით, ზოგი – მართალი. რას გაიგებ. პატიმრების 80% ნარკოტიკების გამო ზის ციხეში. იბრძოლოს, კი ბატონო, ხელს ვინ უშლის?! თუ კარგს რამეს გააკეთებს, მივესალმები. ვამბობთ, კარგი რაც გააკეთა, რატომ გააკეთაო?! არ ვამბობთ. მაგრამ ამის პარალელურად რომ ისმის განცხადებები, „მარიხუანას“ ლეგალიზება მოვახდინოთ და ა.შ, ეს როგორ არის?! ეს შემთხვევით არ ხდება. ჰოლანდიაში იმიტომ გარბიან მთელი მსოფლიოდან, რომ „მარიხუანა“ მოწიონ. საქართველოში ხედავთ, რომ სააკაშვილმა ტურისტები ვერ მოიზიდა. ბათუმი მიყვარს, მაგრამ არ არის ეს ისეთი კურორტი, სადაც უამრავი ადამიანი ჩამოვა. ტურისტი რომ ჩამოვა, იმას უნდა გართობა და დროსტარება. ამიტომ გვაპარებს თანდათან, აი, მოწიე მარიხუანაო. ამსტერდამის სანახავად კი არ ჩადიან ჰოლანდიაში, ჩადიან იმიტომ, რომ „პლანი“ მოწიონ. ამიტომ დაიწყო ახლა „მარიხუანას“ ლეგალიზაციაზე და გადაცემებიც მიეძღვნა ამ თემას. ზოგი აღშფოთებულია, ზოგი მიესალმება. ადგებიან და იტყვიან, ევროპაში ასეა მიღებულიო და აქაც მიიღებენ „მარიხუანას“ ლეგალიზაციაზე კანონს. ეს იქნება დასასრულის დასაწყისი. გახსოვთ, ჯაბა იოსელიანის დროს ლამის ქუჩაში ეყარა ნარკოტიკები და რამდენი ადამიანი დაიხოცა. სააკაშვილი უარესს აკეთებს. ნახეთ, „მარიხუანას“ ლეგალიზებას თუ არ მოახდენს. „მარიხუანას“ შემოსვლით, იცოდეთ, რომ ახალგაზრდების 80% იქნება „მარიხუანადან“ გადასული წამლის მოხმარებაზე. ერის გადაჯიშება მერე ნახეთ. საერთოდ, ამ თემაზე როგორ უნდა მიდიოდეს საუბარი საქართველოში, რომელსაც გამოვლილი აქვს 90-იანი წლები, როცა ქუჩაში ხდებოდა წამლის გაკეთება. ერი, რომელიც 5 მლნ იყო და 2,5 მლნ-ზეა ჩამოსული, ამ თემაზე როგორ უნდა ლაპარაკობდეს. სააკაშვილს ისე უყვარს თავისი ერი და ქვეყანა, რომ დღედაღამ არ სძინავს მასზე ფიქრით. მისთვის მთავარია, ტურისტები მოიზიდოს და პირადი ჯიბეები გაისქელოს, თორემ, გაღლეტილი ზურაბ ადეიშვილი და ვანო მერაბიშვილი მას ნაკლებად ანერვიულებს. მთავარია, მისი ჯიბე იყოს სქელი. ხომ ხედავთ, კანში ველარ ეტევა, ტანსაცმელი ასკდება. სააკაშვილმა ყველანაირი რესურსი ამოწურა. მაშინვე ეტყობოდა, რა იქნებოდა, როცა სასამართლო რეფორმას ახორციელებდა.

# ქართველი მეზღვაურები ესპანეთიდან დაბრუნებას რამდენიმე დღეში შეძლებენ

კომპანია „ატილ შიფინგ ტრეიდინგის“ კუთვნილ გემზე – „კლარე“ მომუშავე ქართველი მეზღვაურები, რომლებიც რამდენიმე თვეა უსახსრობის გამო, ესპანეთიდან წამოსვლას ვერ ახერხებენ, სამშობლოში უახლოეს დღეებში დაბრუნდებიან.

ამის შესახებ განცხადება საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამ გაავრცელა.

ქართველი მეზღვაურების დაბრუნება საქმეში ტრანსპორტის მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის ჩართვის შემდეგ გახდა შესაძლებელი. პროფკავშირების ინფორმაციით, ოფიციალური მხარე უკვე მოგვარებულია და შესაბამისი დოკუმენტებიც მზადაა.

მეზღვაურები ნუგზარ კონცელიძე, გელა შაინიძე, იმედა პაპიძე და კახა ჩხიკვაძე სამშობლოში დაბრუნებას ანაზღაურების გადაუხდელობის გამო ვერ ახერხებდნენ. გემის მეპატრონე ესპანეთში ჯართად ჩასაბარებლად ჩაყვანილი გემის გაყიდვამდე მათი კუთვნილი ანაზღაურებას ვერ უხდიდა.

ნიუსპრესი

# ნინო ანანიაშვილის საიუბილეო დღეები დაიხურა

ეკა ირემაშვილი



ქართველი პრიმა ბალერინას ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები თბილისში დასრულდა.

ღონისძიებების კულმინაცია დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა, სადაც მსოფლიოს საბალეტო სივრცის ყველა ვარსკვლავი შეიკრიბა. ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიის მხარდაჭერით გაიმართა. გალა-კონცერტზე ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოწვეული სტუმრების ჩამოყვანა უზრუნველყო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საქართველოში.

ნინო ანანიაშვილის საიუბილეო ღონისძიებები საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში პრიმა ბალერინას სასცენო კოსტიუმებისა და აქსესუარების გამოფენით გაიხსნა. სამ ათეულ წელზე მეტი სცენაზე, ასზე მეტი პარტია და, შესაბამისად, ამდენივე კოსტიუმი – ნინო ანანიაშვილის სასცენო კოსტიუმების ექსპოზიცია ვიდეო ინსტალაციებით დიზაინერმა ნინო ჩუბინიშვილმა, დავით გიორგაძემ და მხატვარმა თამუნა ქარუმიძემ წარმოადგინეს.

4 უმაღლესი საბალეტო ჯილდოს მფლობელის სასცენო მოღვაწეობის იუბილეს ფარგლებში პრიმა ბალერინას შემოქმედებით კარიერაზე ერთგვარი წარმოდგენა მისი სასცენო კოსტიუმებისა და აქსესუარების გამოფენამ შექმნა. ბალეტის ისტორია ერთ საგამოფენო სივრცეში, დამთვალიერებლის წინაშე საქართველოში პირველად გაცოცხლდა. გამოფენის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს დამთვალიერებელს საბალეტო სამყაროს ესთეტიკა ორიგინალური ფორმით წარმოედგინათ. ექსპოზიციაზე მისული დამთვალიერებლების თვალწინ გაცოცხლდა ის პატრიები, რომელშიც ნინო ანანიაშვილი განსაკუთრებით ბრწყინავდა – „გედების ტბა“, „დონ კიხოტი“, „ჟიზელი“, „რაიმონდი“, „კორსარი“, სხვადასხვა თეატრის სცენებზე, სხვადასხვა ქორეოგრაფების რედაქციით დადგმული სპექტაკლებისათვის ამ კოსტიუმებს ცნობილი თეატრალური მხატვრები სიმონ (სოლიკო) ვირსალაძე, ალექსეი ვასილიევი, ვიაჩესლავ ოკუნევი და სხვა ცნობილი ხელოვანები ქმნიდნენ. წარმოდგენილი ექსპოზიციით თავად ნინო ანანიაშვილიც გაოცებული დარჩა. კოსტიუმების ორიგინალური განათების პარალელურად, ჩაბნელებული დარბაზის კედლებზე ნინო ანანიაშვილი ცეკვავდა.

ორდღიანი პაუზის შემდეგ კი რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში წარმოდგენილი იყო ერთმოქმედებიანი ბალეტები. საბალეტო დასმა მაყურებელს შესთავაზა ესტონელი ქორეოგრაფის ტეეტ კასკის ახალი ერთმოქმედებიანი ბალეტის „თამპოპოს“ პრემიერა, რომელშიც მთავარი პარტია საბალეტო დასის სოლისტებთან ერთად, ნინო ანანიაშვილმა შეასრულა. სპექტაკლში ასევე მონაწილეობდა „ტრიო პერტე“ თეა ჭკუასელის (ფორტეპიანო), ლელა მჭედლიძის (ვიოლინო) და გიორგი ჯორჯაძის (ჩელო) შემადგენლობით. „თამპოპოს“ კოსტიუმების მხატვრობაზე დიზაინერმა ნინო ჩუბინიშვილმა იმუშავა. რუსთაველის თეატრში შეკრებილმა საბალეტო ხელოვნების მოყვარულმა მაყურებელმა ასევე იხილა ფრედერიკ ეშტონის ბალეტი „მარგარიტა და არმანი“ და იური პოსოხოვის მიერ ქართულ მელოდიებზე შექმნილი ბალეტი „საგალობელი“.

ნინო ანანიაშვილის საიუბილეო ღონისძიებების ეგიდით „თბილისი მარიოტში“ შედგა ფოტოალბომის „ნინო ანანიაშვილი“ პრეზენტაცია, რომელშიც ასახულია პრიმა ბალერინას შემოქმედებითი მოღვაწეობის ოცდაათწლიანი გზა. წიგნი ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა.

საიუბილეო დღეები კი დასრულდა თბილისის საკონცერტო დარბაზში, მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავების გალაკონცერტით, რომელშიც ნინო ანანიაშვილთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ამერიკის ბალეტის თეატრის, მოსკოვის დიდი თეატრის, ესპანეთის, ჩინეთის, ინგლისის ცნობილი საბალეტო დასების სოლისტებმა – ანხელ კორელამ, ხოსე მანუელ კარენიომ, მარია რიჩეტომ, ბლეინ ჰოვენმა (ამერიკის ბალეტის თეატრიდან), ევგენია ობრაზცოვამ, დიმიტრი გუდანოვმა, ანასტასია სტაშკევიჩმა, ვიაჩესლავ ლოპატინმა (მოსკოვის დიდი თეატრიდან), ანასტასია და დენის მატვიენკოებმა (სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრიდან), ელენე გლურჯიძემ (ინგლისის ნაციონალური ბალეტიდან), ვიქტორია ჯაიანმა და თემურ სულუაშვილმა (ჩიკაგოს ჯოფრი ბალეტიდან), ლალი კანდელაკმა და ვასილ ახმეტელმა (საქართველოს სახელმწიფო ბალეტიდან), სერგეი პოლუნინმა (ინგლისის სამეფო ბალეტის ყოფილმა მოცეკვავემ), დავით მახათელმა (ინგლისის სამეფო ბალეტიდან), მომოკო ჰირატამ (ესპანეთის კორელა ბალეტიდან), დონ თინგ ხიგმა და ზონგ რენიმ (ჩინეთის ლიაონინგის საბალეტო დასიდან). მათგან ბევრი სხვადასხვა დროს პარტნიორობას თავად უწევდა ქართველ პრიმა ბალერინას. გალა-კონცერტში ასევე მონაწილეობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი და სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც იტალიელი მაესტრო ჯანლუკა მარჩიანო დირიჟორობდა. მთლიანობაში საქართველოში საპატიო სტუმრები ჩამოვიდნენ მსოფლიოს 15 ქვეყნიდან, მათ შორის იყვნენ მოცეკვავეები, ბალეტის კრიტიკოსები, ქორეოგრაფები და იმპრესარიოები.

დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილ გალაკონცერტს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პირველი ლედი სანდრა რულოვსი, თბილისის მერი გიგი უგულავა და მისი მეუღლე ლელა კილაძე ესწრებოდნენ.

საიუბილეო ღონისძიებების გალაკონცერტზე შესრულდა ფრაგმენტები კლასიკური და თანამედროვე ქორეოგრაფიული შედევრებიდან. იუბილარმა მოცეკვავემ მოახერხა და შეკრიბა ერთად ყველა – ვისაც მისი კარიერის დასაწყისი ახსოვს, ვინც მის ხელში გაიზარდა და ვინც მასთან ერთად იცეკვა. მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები სპეციალურად ნინო ანანიაშვილისთვის იუბილეს მისალოცად ჩამოვიდნენ. სპეციალურად ნინო ანანიაშვილისთვის შემოქმედებითი იუბილეს მოსალოცად ჩამოვიდნენ საქართველოში უცხოეთში წარმატებით მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი მოცეკვავეებიც. პირველად შეიკრიბნენ თბილისში ინგლისის სამეფო ბალეტიდან და-ძმა მაია და დავით მახათელები, ინგლისის ნაციონალურ ბალეტში მოღვაწე ელენე გლურჯიძე, ჩიკაგოში მოღვაწე ცოლ-ქმარი ვიქტორია ჯაიანი და თემურ სულუაშვილი.

ქართველმა მაყურებელმა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა ნინო ანანიაშვილის თაყვანისმცემლებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს დიდი სიყვარული ქართველი პრიმა ბალერინისადმი. ნინო ანანიაშვილმა იმაზე მეტი წითელი ვარდი მიიღო საჩუქრად, ვიდრე 30 წლის განმავლობაში საბალეტო პარტიები შეუსრულებია. დიდ საკონცერტო დარბაზში შეკრებილებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ყველა ის ნაბიჯი, რომელიც ბალერინამ დღემდე გადადგა. თავად პრიმა ბალერინამ მაყურებლისთვის პრემიერებიც შემოინახა. გლაზუნოვის, ჩაიკოვსკის და პროკოფიევის ბალეტებიდან პადედეების შესრულების გარდა, იუბილარმა ბალერინამ პირველად შეასრულა ნაწყვეტი იური პოსოხოვის ბალეტიდან „ანარეკლი“, სადაც პარტნიორობას ვასილ ახმეტელი უწევდა. გალაკონცერტის კულმინაციად კი ნინო ანანიაშვილის მიერ შესრულებული უჩვეულო ლეკური გახდა.

ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# აფხაზეთის კაპელა ევროპულ ტურნეშია

ეკა ირემაშვილი

აფხაზეთის სახელმწიფო კაპელამ ევროპული ტურნე დაიწყო. როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ტურნე ფესტივალ „ჩვენებურების“ ფარგლებში დაიგეგმა.

ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“ პრეზიდენტის გიული ალასანიას ინიციატივით, აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ფესტივალში „ჩვენებურები“, რომელიც 25 მარტის ჩათვლით საფრანგეთში, ესპანეთსა და შვეიცარიაშია დაგეგმილი. კაპელა მიწვეულია ესპანეთში, საერთაშორისო კონკურსზე „მონსერატის ოქროს ხმები“.

პროექტი ხორციელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია სოლოკონცერტები, როგორც ევროპელი მსმენელისთვის, ასევე ქართული დიასპორის წარმომადგენლებისათვის. ფესტივალზე შესრულდება თანამედროვე საგუნდო მუსიკისა და ქართული ფოლკლორის გამორჩეული ნაწარმოებები.

აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დალი ხომერიკმა უკვე გააცილა.

ასოციაციის „ქართული კულტურა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“ ინიციატივით ქართული კულტურის დღეები ჩატარდა იტალიაში. საერთაშორისო ფესტივალ „ჩვენებურების“ ორგანიზებით, რომში ზუგდიდის ფოლკლორული ანსამბლის „ოდოიას“ კონცერტი გაიმართა. ანსამბლი მსმენელის წინაშე ფლორენციაშიც წარდგა.

ქართული კულტურის დღეებს ესწრებოდნენ ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი, პროფესორი გიული ალასანია, ფესტივალ „ჩვენებურების“ ვიცე პრეზიდენტი, პროფესორი დარეჯან კუხიანიძე და სხვა წარმომადგენლები საქართველოდან.

ქართული კულტურის დღეების ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები იტალიაში მცხოვრებ ქართულ დიასპორასთანაც.

ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“ უკვე 8 წელია ფუნქციონირებს, სწორედ ამ ასოციაციის დაარსებულია საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“. ასოციაციის და საერთაშორისო ფესტივალ „ჩვენებურების“ საორგანიზაციო კომიტეტში დღემდე გაერთიანებული არიან გიული ალასანია (პრეზიდენტი), დარეჯან კუხიანიძე (ვიცე-პრეზიდენტი და საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე), ანზორ ერქომაიშვილი (სამხატვრო ხელმძღვანელი), გრიგოლ კალანდაძე (აღმასრულებელი დირექტორი), გიორგი სვანიძე (გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე), თეა სტურუა (კოორდინატორი), შოთი არველაძე (საგარეო საკითხების კოორდინატორი) და ლელა მარგიანი (ფესტივალის პრესცენტრის ხელმძღვანელი).

როგორც ასოციაციაში აცხადებენ, საქართველოს გარდა, მთელ მსოფლიოში ქართული კულტურის წარმოჩენა მათი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ამიტომაც მომავალში ქართული კულტურა ჩვენს პლანეტაზე კიდევ ერაერთხელ გაიბრწყინებს.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8
[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● გასტროენტეროლოგიური პროგრამა „მედიგარდში“. გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში გთავაზობთ კუჭ-ნაწლავის ექოსკოპიურ გამოკვლევას ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, საყლაპავის თიაქარი, ნაწლავის დივერტიკულოზი, წვრილი და მსხვილი ნაწლავის სხვა დაავადებები, მათ შორის აპენდიციტი. გამოკვლევის ეს მეთოდი წარმოადგენს კუჭ-ნაწლავის რენტგენოლოგიური და გასტროსკოპიული გამოკვლევის ალტერნატივას. გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში ასევე შედის საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკული დაავადებების (გასტრიტი, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ქრონიკული ქოლეცისტო-პანკრეატიტი, ქრონიკული ჰეპატიტი, ქრონიკული ენტეროკოლიტი და დისბაქტერიოზი) მკურნალობა ფიტოთერაპიის და ნატუროპათიის ტრადიციული მეთოდებით, რაც ეფექტურად გააუმჯობესებს თქვენს ჯანმრთელობას. მისამართი: ფალიაშვილის ქ. №17. ტელ:. 2-25-20-50; 599 572508. 11-დან 17 საათამდე.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იყიდება ან იცვლება საკუთარი სახლი საერთო ფართით 110 კვ.მ. 1,5 ან 2-ოთახიან ბინაზე შესაბამისი თანხის დამატებით. ფასი 55.000 დოლარი. მისამართი: ნუცუბიძის I მ/რ, სახლი №5ა. ტელ: 599-41-52-29; 568-10-65-48; 232-52-29; 231-48-72.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 2000 კვ. მ, შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 0790-90-32-96, 253-15-87, 568-65-74-86.

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ: 96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

# ფაჩულიამ კევინ გარნეტს დუელი მოუგო



ზაზა ფაჩულიას და კევინ გარნეტს ამჯერად არ უჩხუბიათ. ქართველმა კალათბურთელმა „ბოსტონის“ სუპერვარსკვლავს მოედანზე კარგი თამაშით დაუმტკიცა საკუთარი ძალა. ატლანტა-ბოსტონის მატჩში ფაჩულია საკუთარი გუნდის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა – საქართველოს ნაკრების კაპიტანს ორმაგი დუბლი და ატლანტელთაგან მთლიანობაში ყველაზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა.

გარნეტთან ჩხუბი იმიტომ ვახსენეთ, რომ მასთან ფაჩულიას არაერთხელ მოსვლია შეხლა. ამჯერადაც საკმაოდ აგრესიულ ურთიერთობაში იყვნენ, თუმცა საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდე არ მისულა. თუკი წლების მანძილზე გარნეტი ფორვარდად თამაშობდა, ბოლო მატჩებია ის „ბოსტონში“ ნომინალური ცენტრის პოზიციაზეა და დღევანდელ მატჩშიც უშუალოდ ქართველ ცენტრთან უწევდა პაექრობა. გარნეტ-ფაჩულიას დუელიდან გამარჯვებული ეს უკანასკნელი გამოვიდა. ფაჩულიამ მატჩი 16 ქულით, 13 მოხსნითა და 3 ჩაჭრით დაასრულა, ხოლო გარნეტის მონაგარი შემდეგი იყო: 16 ქულა, 8 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა.

ეს ფაჩულიას მეცხრე ორმაგი დუბლია მიმდინარე სეზონში. ქართველი ცენტრი „ატლანტასთვის“ დიდ ძალას წარმოადგენს. ზაზამ „ჰოუქსს“ ძირითადი ცენტრის, ალ ჰორფორდის დანაკლისი არ აგრძნობინა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა სასტარტო ხუთეულში ღირსეულად შეცვალა ჯორჯიელთა ტრავმირებული ცენტრი.

ამ მატჩში ფაჩულიასთვის უარყოფითი მხოლოდ საბოლოო შედეგია. შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა და რომ არა ბოლო მეოთხედში გამოჩენილი ინერტულობა, ატლანტელები პირციპულ მეტოქეს დაამარცხებდნენ. მთელი შეხვედრა თანაბრად მიმდინარეობდა, სანამ ბოსტონელთა გამოცდილი უკანახაზელი არ აფეთქდა. რეი ალენმა ბოლო მეოთხედში მიჯრით 2 სამქულიანი ჩააგდო და ბოსტონელებს რამდენიმეწუთიანი მონაკვეთი 13:0 მოაგებინა. მაყურებელთა მხარდაჭერის ფონზე ატლანტელებმა მაინც მოახერხეს ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირება – ჯო ჯონსონის სამქულიანის შემდეგ, საფინალო სირენამდე 11 წამით ადრე, ანგარიში 76:77 გახდა. ბოლო წამებზე ისევ რეი ალენმა იჩაუქა, რომელმაც ორი საჯარიმო ჩააგდო და „ბოსტონს“ 79:76 მოაგებინა.

მომდევნო მატჩში, 22 მარტს, ფაჩულიას გუნდი „კლივლენდს“ უმასპინძლებს.

# მარია შარაპოვა: ხანდახან ჩემი მწვრთნელის თეფშიდან ბურგერებს ვიპარავ“



მარია შარაპოვამ კვირას ინდიანა უელსის ტურნირის ფინალში წააგო ვიქტორია აზარენკასთან, თუმცა საჩოგბურთო სამყაროში რუსი ლამაზმანი მაინც ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ფიგურად რჩება და გასაკვირი არ არის, რომ მის შესახებ ჟურნალისტებს ყველაფერი აინტერესებთ.

***– ყოველთვის ამბობდით, რომ ჩოგბურთის შემდეგ მოდა თქვენი ყველაზე დიდი გატაცება იყო. როდის დაინტერესდით მოდის სფეროთი?***

– ძალიან კარგად მახსოვს ჩემი პირველი ფოტოსესია, ეს იყო 2004 წელს. სრულიად მოულოდნელად ჩემს გარშემო გაჩნდნენ სტილისტები, ვიზაჟისტები, რომლებიც მთელი დღის მანძილზე ჩემთან მუშაობდნენ. ეს ახდენილ ოცნებასავით იყო. სწორედ მაშინ გავხდი მოდის დიდი თაყვანისმცემელი.

***– რატომ გადაწყვიტეთ გამხდარიყავით „თაგ ჰაუერის“ სარეკლამო სახე?***

– 2004 წელს, „დიდი შლემის“ ტურნირის მოგების შემდეგ, ჩემ მიმართ გაიზარდა მასმედიის ყურადღება და იმ პერიოდში „თაგ ჰაუერმა“ შემომთავაზა გავმხდარიყავი მათი ოფიციალური წარმომადგენელი ბრედ პიტთან და უმა თურმანთან ერთად. იმ დროს უკვე ვიყავი ამ ბრენდის მომხმარებელი და შეთავაზებას სიხარულით დავთანხმდი. „თაგ ჰაუერმა“ ფართოდ გამიღო მსოფლიო მოდის კარი და ამისთვის მათი მადლობელი ვარ.

***– როგორია თქვენ მიერ შექმნილი საათების ხაზი?***

– საათის დიზაინი მკაცრი, მიზანდასახული და ამავდროულად უბრალოა.

***– როგორია თქვენი წვლილი საათების ხაზის შექმნაში?***

– საკმაოდ დიდი. ვითვალისწინებდი დიზაინერების რჩევებს და შენიშვნებს. მინდოდა შემექმნა ისეთი საათი, რომელიც მოუხდება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სუსტი სქესის წარმომადგენელს.

***– ძალიან ბევრ ცნობილ ბრენდთან თანამშრომლობთ. როგორ იღებთ გადაწყვეტილებას ვისთან ითანამშრომლოთ და ვისთან არა?***

– როდესაც ამ საკითხის გადაწყვეტას ვიწყებ, ჩემი აგენტი ყოველთვის დამცინის. იმიტომ, რომ იმ ბრენდებს, რომლებიც ძალიან არ მომწონს თავიდანვე უარს ვეუბნები და არც ვინტერესდები მათი შემოთავაზებებით. არჩევანს ყოველთვის იმ ბრენდის სასარგებლოდ ვაკეთებ, რომლის ხაზიც მომწონს და მასში ჩემ თავს ვხედავ. არ შემიძლია იმ ბრენდის რეკლამირება, რომლის პროდუქციასაც რეალობაში არ გამოვიყენებ. რაც შეეხება „თაგ ჰაუერსს“, ჩვენ ერთნაირ ღირებულებებს ვიზიარებთ და მე ეს ძალიან მომწონს.

***– არაერთხელ გაღიარეს მსოფლიოს ულამაზეს ქალად. როგორია ამ ტიტულისადმი თქვენი დამოკიდებულება?***

– სიმართლე გითხრათ, დიდად არ მაწუხებს ის თუ როგორ გამოვიყურები. როდესაც 17 წლის ასაკში უიმბლდონი მოვიგე, ხალხმა პირველ რიგში ყურადღება ჩემს თამაშზე გაამახვილა. ერთადერთი, რაც მინდა, საზოგადოებას დავმახსოვრდე, როგორც გამორჩეული ჩოგბურთელი. დღემდე ასე მიმაჩნია. რა თქმა უნდა, მომწონს, როდესაც კორტებზე მოდურად გამოვიყურები, ეს დამაჯერებლობას მმატებს და უკეთაც ვთამაშობ. მაგრამ გულწრფელად გეუბნებით, კორტებზე გამოვდივარ, პირველ რიგში, როგორც ჩოგბურთელი და თუ ხალხს მოსწონს როგორ გამოვიყურები, ეს შესანიშნავია.

***– რა სახის მუსიკას უსმენთ?***

– ახლა ჩემი ფლეერი ჯგუფების „ფლორენცესა“ და „კოლდპლეის“-ის სიმღერებით არის სავსე.

***– მოდის სამყაროში მიმდინარე ცვლილებებს რეგულარულად ადევნებთ თვალყურს?***

– ვცდილობ, ყოველთვის ვიყო მოდური ტენდენციების კურსში: ვკითხულობ ჟურნალებს, შეძლებისდაგვარად ვესწრები ჩვენებებს, თუ დიზაინზე მიწევს მუშაობა, მაშინ საქმეს უფრო დეტალურად ვსწავლობ. როდესაც ჩოგბურთით ვარ დაკავებული, მაშინ ცნობილ სტილისტს მივმართავ ხოლმე დახმარებისთვის, მაგრამ ამ ყველაფერს მხოლოდ საჩოგბურთო ტურნირების შუალედების დროს ვახერხებ. ჩოგბურთი ჩემი პრიორიტეტია!

***– როგორ დაახასიათებთ თქვენს სტილს?***

– მოდაში ჩემი დევიზი მაქვს – ცოტა – ნიშნავს ბევრს! ვცდილობ, ავიღო ის, რაც ნამდვილად მჭირდება და არ ვეკიდები მოდის ყველა ტენდენციას.

***– ფორმას როგორ ინარჩუნებთ?***

– გულახდილად რომ გითხრათ, მე იმ სპორტსმენთა კატეგორიას არ ვეკუთვნი, სატრენაჟორო დარბაზებზე რომ გიჟდებიან. მე იოგა და სანაპიროზე სირბილი მირჩევნია. საკვებს რაც შეეხება, ვერ ვიტყვი, რომ ჩემი დიეტა ძალიან მკაცრია, ის უბრალოდ ჯანსაღი და დაბალანსებულია. მაგრამ ვაღიარებ, ხანდახან ჩემი მწვრთნელის თეფშიდან ბურგერებს ვიპარავ ხოლმე. ყოველთვის მზისგან დამცავ კრემს ვხმარობ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ტურის ცენტრი დინამო არენაზეა

დღეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის მორიგი ტურის მატჩები გაიმართება.



### დინამო(თ) – ზესტაფონი

**თბილისი. დინამო არენა**

ტურის ცენტრალური შეხვედრა ინტერესს იწვევს გულშემატკივარში. საინტერესოა, ამ გუნდების ურთიერთშეხვედრების სტატისტიკაც.

გუნდები სულ 32-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, საიდანაც 10 „ზესტაფონმა“ მოიგო, ხოლო 14 – „დინამომ“, 8 შეხვედრა ფრედ მორჩა. ბურთები – 26:33.

უმაღლესი ლიგის ეგიდით გუნდები 23-ჯერ შეხვდნენ. უპირატესობას „დინამო“ ფლობს. 11 მოიგეს თბილისელებმა, 7 ზესტაფონლებმა, 5 ფრედ დასრულდა, ბურთები – 28:21.

„დინამომ“ ყველაზე დიდი ანგარიშით „ზესტაფონი“ დაამარცხა 4:0, 2009 წელს, სტუმრად.

„ზესტაფონმა“ „დინამო“ ყველაზე დიდი ანგარიშით წელს დაამარცხა – 5:1. აქამდე ამ გუნების დაპირისპირებაში 5 ბურთი არც ერთ გუნდს არ ჰქონდა გატანილი.

უკანასკნელი 5 მატჩიდან 2 ზესტაფონმა მოიგო, 2 ფრედ დამთავრდა და მხოლოდ ერთი მოიგეს დინამოელებმა.

„დინამო“ ბოლო 4 მატჩია „ზესტაფონს“ ვერ ამარცხებს.

დინამოელებს დისკვალიფიკაციის გამო 2 ფეხბურთელი დააკლდებათ – ყოფილი ზესტაფონელი ირაკლი ძარია და დავით ოდიკაძე.

შეგახსენებთ რომ, წინა ტურში, „მერანთან“ მატჩისას ფიფას არბიტრმა დავით ხარიტონაშვილმა, 36-ე წუთზე ხელით განზრახ თამაშისთვის მინდვრიდან დინამოელი ირაკლი ძარია გააძევა. დისციპლინარებმა თბილისელთა ნახევარმცველს ერთმატჩიან დისკვალიფიკაციასთან ერთად, 100 ლარის ოდენობით ფულადი ჯარიმაც დააკისრეს.

რაც შეეხება ამ მატჩის მეორე ეპიზოდს, როგორც მოსალოდნელი იყო, მისი განსჯისას სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა ხარიტონაშვილზე მკაცრი ვერდიქტი მიიღეს. უფრო სწორად, ქართული პრაქტიკისთვის იშვიათად გასახსენებელი პრეცედენტი მოხდა – დისციპლინარებმა არბიტრის მიერ პირველი ტაიმის ბოლოს დავით ოდიკაძის ლაშა ჩალაძისადმი უხეშობა წითელი ბარათის ღირსად ჩათვალეს. მაშინაც აღვნიშნეთ, რომ ხარიტონაშვილმა დაინდო თბილისელი ფეხბურთელი და მხოლოდ ყვითელი ბარათი აკმარა.

სადისციპლინო კომიტეტმა ოდიკაძეს ყვითელი ბარათი წითლად „გადაუკეთა“ და 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და ჯარიმის სახით 400 ლარის გადახდა დააკისრა.

### კოლხეთი – ტორპედო

**ფოთი. ცენტრალური სტადიონი**

როგორც იქნა, მეორე ეტაპზე პირველ მატჩს გამართავს ქუთაისის „ტორპედო“. აქამდე იმერლებს მატჩების ჩატარებაში ხელი უამინდობამ შეუშალა. სხვათა შორის, ბოლო მატჩი „ტორპედომ“ სწორედ ფოთელებთან გამართა – მაშინ „კოლხეთმა“ შინ ქულის აღება მოახერხა და 8 საუკეთესო გუნდში მოხვდა.

დღევანდელ რიონისპირულ დერბიში კი ფავორიტად ქუთაისლები მიიჩნევიან, თუმცა მასპინძლები რომ იოლად არაფერს დათმობენ, ფაქტია..

### მეტალურგი – მერანი

**რუსთავი. ფოლადის სტადიონი**

ამ წყვილის ფავორიტი „მეტალურგია“, თუმცა წინა ტურში „მერანმაც“ დაგვანახა, რომ თამაში შეუძლია და „დინამოს“ სტუმრად ქულები აართვა.

### ბაია – დილა

**ზუგდიდი. ბაიას საწვრთნელი ბაზა**

ჯერ უცნობია რა შემადგენლობით გამოვა მოედანზე „ბაია“ ფეხბურთელები გაფიცულები არიან და კუთვნილ ხელფასს ითხოვენ. წინა ტურში „ბაია“ ფოთს მეორე შემადგენლობით ეწვია, მაგრამ მათ ბედად ის შეხვედრა გადაიდო.

თუმცა, წყვილის ფავორიტად მაინც „დილა“ რჩება – გორელებს წელს გაცილებით ამბიციური გუნდი ჰყავთ და უფრო მაღალ მიზნებზე ფიქრობენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 15 | 10 | 3 | 2 | 28:12 | 33 |
| 2.მეტალურგი | 16 | 9 | 2 | 5 | 23:19 | 29 |
| 3.დინამო(თ) | 15 | 7 | 3 | 5 | 29:22 | 24 |
| 4.ტორპედო | 14 | 7 | 3 | 4 | 17:12 | 24 |
| 5.ბაია | 15 | 4 | 4 | 7 | 11:18 | 16 |
| 6.დილა | 15 | 4 | 3 | 8 | 16:18 | 15 |
| 7.მერანი | 15 | 4 | 2 | 9 | 14:24 | 14 |
| 8.კოლხეთი | 15 | 2 | 6 | 7 | 8:20 | 12 |

**ბომბარდირები**: ჯაბა დვალი (ზესტაფონი) – 13 ბურთი; ჩისკო (დინამო) – 11; დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 9; რევაზ გოცირიძე (ტორპედო) – 7.

პლეი-აუტში კი გუნდებმა მესამე ტურის მატჩები უკვე გამართეს.

### სპარტაკი – მერცხალი 1:0

**თბილისი. ბენდელას სტადიონი**

**1:0 გაბაშვილი (88)**

ცხინვალელებმა მატჩის ბოლოს გატეხეს უმაღლეს ლიგაში გადმოსვლის მსურველი „მერცხალი“. ერთადერთი გოლი კოტე გაბაშვილის ანგარიშზეა.

„სპარტაკმა“ პირველი გამარჯვება მოიპოვა და ინარჩუნებს ელიტაში დარჩენის კარგ შანსს, ხოლო „მერცხალი“ ჯერ ისევ გოლგაუტანელი და უქულო გუნდად რჩება.

### გაგრა – ვიტ ჯორჯია 0:0

**თბილისი. მერანის სტადიონი**

ორივე გუნდის მიზანი ლიგაში დარჩენაა და ამ მხრივ სხვა გუნდებზე ოდნავ უკეთესი მდგომარეობა აქვთ. ფრე ლოგიკური იყო და არც პასივში უნდა ჩაეთვალოს რომელიმეს.

### სიონი – გურია 2:3

**ბოლნისი. თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონი**

**1:0 ჭანკოტაძე (38), 1:1, 1:2 კვერენჩხილაძე (40, 52), 2:2 ქემოკლიძე (65), 2:3 ჩარგელიშვილი (69)**

გურულებმა მორიგი სიუპრიზი შემოგვთავაზეს. აქამდე ორჯერ ფრედ 2:2 ითამაშეს და მესამედაც კინაღამ იგივე ანგარიში გაიმეორეს, თუმცა, ამჯერად ჩარგელიშვილის დარტყმით მესამეც გაიტანეს და გამარჯვება მოიპოვეს. მანამდე გურულთაგან 2 გოლი კვერენჩხილაძემ გაიტანა, ხოლო ბოლნისელთაგან თავი ჭანკოტაძემ და ქემოკლიძემ გამოიჩინეს.

არადა, ამ მატჩის ფავორიტად ქვემოქართლელები ითვლებოდნენ, თუმცა „გურიამ“ იბრძოლა და დაამტკიცა, რომ ელიტაში ამოსვლის ამბიცია აქვს.

### ჩიხურა – დინამო (ბ) 0:0

**საჩხერე. ძველი სტადიონი**

პირველი ლიგის ზონების ლიდერებმა ერთმანეთში უგოლო ფრე ითამაშეს და ცოტა გაირთულეს საქმე. მათთვის ეს ფრე 2 დაკარგულ ქულად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე – მოპოვებულად, რადგან ჯერ კიდევ ცხრილის ფსკერზე ფიგურირებენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| 2.გაგრა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| 3.გურია | 3 | 1 | 2 | 0 | 7:6 | 5 |
| 4.სპარტაკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| 5.სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| 6.ჩიხურა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| 7.დინამო (ბ) | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| 8.მერცხალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

# შედეგები

## ფეხბურთი

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-რასინგი ..................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 27 | 23 | 2 | 2 | 89:24 | 71 |
| 2.ბარსელონა | 27 | 19 | 6 | 2 | 77:18 | 63 |
| 3.ვალენსია | 27 | 13 | 8 | 6 | 43:31 | 47 |
| 4.ლევანტე | 27 | 12 | 5 | 10 | 38:37 | 41 |
| 5.მალაგა | 27 | 12 | 5 | 10 | 38:38 | 41 |
| 6.ესპანიოლი | 27 | 11 | 6 | 10 | 35:36 | 39 |
| 7.ოსასუნა | 27 | 9 | 12 | 6 | 32:41 | 39 |
| 8.ბილბაო | 27 | 9 | 10 | 8 | 42:37 | 37 |
| 9.რაიო | 27 | 11 | 4 | 12 | 40:43 | 37 |
| 10.ატლეტიკო | 27 | 9 | 9 | 9 | 37:33 | 36 |
| 11.ხეტაფე | 27 | 9 | 8 | 10 | 27:35 | 35 |
| 12.სევილია | 27 | 8 | 9 | 10 | 27:31 | 33 |
| 13.მალიორკა | 27 | 8 | 9 | 10 | 28:33 | 33 |
| 14.სოსიედადი | 27 | 9 | 6 | 13 | 30:37 | 33 |
| 15.გრანადა | 27 | 9 | 4 | 14 | 24:38 | 31 |
| 16.ბეტისი | 27 | 9 | 3 | 15 | 31:41 | 30 |
| 17.ვილიარეალი | 27 | 6 | 9 | 12 | 27:41 | 27 |
| 18.რასინგი | 27 | 4 | 12 | 11 | 21:39 | 24 |
| 19.ხიხონი | 27 | 6 | 6 | 15 | 25:50 | 24 |
| 20.სარაგოსა | 27 | 4 | 7 | 16 | 22:50 | 19 |

### იტალია. სერია ა

რომა-ჯენოა ................................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 28 | 18 | 6 | 4 | 57:22 | 60 |
| 2.იუვენტუსი | 28 | 14 | 14 | 0 | 44:16 | 56 |
| 3.რომა | 28 | 14 | 5 | 10 | 43:32 | 48 |
| 4.ლაციო | 28 | 14 | 6 | 8 | 42:34 | 48 |
| 5.ნაპოლი | 28 | 12 | 11 | 5 | 52:30 | 47 |
| 6.უდინეზე | 28 | 13 | 8 | 7 | 39:26 | 47 |
| 7.ინტერი | 28 | 12 | 5 | 11 | 38:36 | 41 |
| 8.კატანია | 28 | 10 | 11 | 7 | 36:35 | 41 |
| 9.ბოლონია | 28 | 9 | 9 | 10 | 31:33 | 36 |
| 10.პალერმო | 28 | 10 | 5 | 13 | 40:45 | 35 |
| 11.კიევო | 28 | 9 | 8 | 11 | 24:35 | 35 |
| 12.ატალანტა | 28 | 9 | 13 | 6 | 31:29 | 34 |
| 13.კალიარი | 28 | 8 | 10 | 10 | 29:35 | 34 |
| 14.ჯენოა | 28 | 9 | 6 | 13 | 35:49 | 33 |
| 15.სიენა | 28 | 8 | 8 | 12 | 32:30 | 32 |
| 16.ფიორენტინა | 28 | 8 | 8 | 12 | 27:33 | 32 |
| 17.პარმა | 28 | 7 | 10 | 11 | 33:44 | 31 |
| 18.ლეჩე | 28 | 6 | 8 | 14 | 31:45 | 26 |
| 19.ნოვარა | 28 | 5 | 8 | 15 | 24:46 | 23 |
| 20.ჩეზენა | 28 | 4 | 5 | 19 | 16:45 | 17 |

ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა

### იტალია. სერია ბ

პესკარა-ბრეშა .............................. 1:1

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კოტბუსი-ფორტუნა ..................... 1:1

### ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი

ოსი-ზვოლე .................................. 1:0

### პორტუგალია. ა ლიგა

ჟილ ვისენტე-სპორტინგი ........... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 23 | 17 | 5 | 1 | 53:16 | 56 |
| 2.ბენფიკა | 23 | 17 | 4 | 2 | 54:21 | 55 |
| 3.ბრაგა | 23 | 17 | 4 | 2 | 51:19 | 55 |
| 4.მარიტიმუ | 23 | 12 | 6 | 5 | 33:25 | 42 |
| 5.სპორტინგი | 23 | 12 | 5 | 6 | 36:19 | 41 |
| 6.გიმარაეში | 23 | 9 | 3 | 10 | 28:30 | 33 |
| 7.ოლჰანენსე | 23 | 6 | 10 | 7 | 30:32 | 28 |
| 8.ჟილ ვისენტე | 23 | 6 | 8 | 9 | 22:33 | 26 |
| 9.ნასიონალი | 23 | 7 | 5 | 11 | 28:41 | 26 |
| 10.რიუ ავე | 23 | 7 | 3 | 13 | 24:28 | 24 |
| 11.ფერეირა | 23 | 7 | 3 | 13 | 27:42 | 24 |
| 12.აკადემიკა | 23 | 5 | 8 | 10 | 21:29 | 23 |
| 13.ბეირა მარი | 23 | 5 | 5 | 13 | 18:27 | 20 |
| 14.სეტუბალი | 23 | 5 | 6 | 12 | 20:41 | 21 |
| 15.ლეირია | 23 | 5 | 3 | 15 | 21:43 | 18 |
| 16.ფეირენსე | 23 | 3 | 8 | 12 | 17:37 | 16 |

### რუსეთი. პრემიერლიგა

### ა ჯგუფი

სპარტაკი-ცსკა ............................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 35 | 19 | 13 | 3 | 69:30 | 70 |
| 2.ცსკა | 35 | 17 | 13 | 5 | 65:37 | 64 |
| 3.ლოკომოტივი | 35 | 17 | 9 | 9 | 53:34 | 60 |
| 4.დინამო | 35 | 17 | 8 | 10 | 55:40 | 59 |
| 5.სპარტაკი | 35 | 16 | 11 | 8 | 53:37 | 59 |
| 6.რუბინი | 35 | 15 | 12 | 8 | 45:30 | 57 |
| 7.ანჟი | 35 | 15 | 11 | 9 | 41:34 | 56 |
| 8.ყუბანი | 35 | 15 | 9 | 11 | 42:33 | 54 |

### თურქეთი. სუპერლიგა

ბეშიქთაში-მანისა ....................... 4:1

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

დუკლა-სლავია ........................... 0:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ლეჩნა-კორონა ............................ 0:0

### უკრაინა. პრემიერლიგა

მეტალისტი-კარპატი .................. 3:1

### დანია. სას ლიგა

კიოგე-ოლბორგი ......................... 1:1

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

შრლოტი-ფილადელფია ......... 80:105

ატლანტა-ბოსტონი ................. 76:79

ზაზა ფაჩულია: 16 ქულა, 13 მოხსნა

ნიუ ჯერსი-კლივლენდი ........100:105

გოლდენ სტეიტი-მინესოტა ..... 93:97

დენვერი-დალასი .................. 95:112

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული სეზონი

ბოსტონი-ტორონტო .................... 8:0

დეტროიტი-ვაშინგტონი ............. 3:5

რეინჯერსი-ნიუ ჯერსი ................ 4:2

ტამპა ბეი-ბუფალო ..................... 3:7

მინესოტა-ვანკუვერი .................. 2:0

სან ხოსე-ანაჰაიმი ...................... 3:5

# ქართული კულტურა ნიდერლანდებში ბრუნდება

ეკა ირემაშვილი



ბადრი თოიძე

23 მარტიდან 25 მარტის ჩათვლით ჰოლანდიის ქალაქებში ქართული კულტურის დღეები გაიმართება. „საქართველო: ადგილობრივი დრო“ – ასეთია ფესტივალის „იბერია 2012“ ლოზუნგი, რომელიც ლეიდენში, კეუკენჰოფში და ტექსელში გაიმართება.

ქართული ხელოვნება და კულტურა ნიდერლანდებში ბრუნდება – ასეთი მოწოდებით გამოდიან ფესტივალის ორგანიზატორები და ყველას მოუწოდებენ სამდღიანი დღესასწაული არ გამოტოვონ. ჰოლანდიის ქალაქები უმასპინძლებენ ქართულ პოლიფონიურ სიმღერას, გამოყენებით ხელოვნებას, ფოტოგრაფიას, მხატვრობას და ჰოლანდიელებისათვის უჩვეულო ვორკშოფებს.

– ჯერ კიდევ 2010 წელს ფონდმა არტექომ ფესტივალ „იბერიის“ პირველ გამოშვებაში ჰოლანდიელ პუბლიკას ფართო მასშტაბით პირველად წარმოუდგინა ქართული კულტურა. მას შემდეგ ფონდს უამრავმა ადამიანმა მიმართა თხოვნით, რომ მიეცათ საშუალება კიდევ ერთხელ შეხებოდნენ საოცარ ქართულ ხელოვნებას. 2012 წელს მართლაც მოხერხდა ნიდერლანდების სამეფოში ფესტივალ „იბერიის“ მესამე გამოშვების ორგანიზება. ამჯერად ფესტივალის სლოგანია „საქართველო: ადგილობრივი დრო“, სლოგანის შინაარსი ფესტივალის პროგრამამ განაპირობა. ამჯერად პუბლიკა ისტორიული მეთოდებით შექმნილ თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებს გაეცნობა. საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს, მის კულტურასა და ხელოვნებაში მეორე გზაჯვარედინიც ისახება – აქ წარსული და მომავალი კვეთს ერთმანეთს. სახვით ხელოვნებაში კარგად ჩანს თანამედროვე საქართველოს ქარტეხილებით სავსე ცხოვრების ანარეკლი, აქ ლეგენდები ყოველდღიურად იქმნება და თანამედროვე ტექნოლოგიები ტრადიციულ ოსტატობას კვალდაკვალ მისდევს, – აღნიშნავს ფესტივალის კოორდინატორი და ანსამბლ „რუსთავის“ დირექტორი ბადრი თოიძე.

ფესტივალი „იბერია 2012“ არც ამჯერად უღალატებს ჩვეულ სტილსა და პრინციპებს. სტუმრებს შესაძლებლობა მიეცემათ გაეცნონ ისტორიასთან შერწყმულ ულტრათანამედროვე ფოტოგრაფიას, თანამედროვეობის გავლენას ბატიკის დამზადების ძველ ხელოვნებასა და კლასიკურ მხატვრობაში, უჩვეულო გარემოში აჟღერებულ ტრადიციულ პოლიფონიურ სიმღერას და მრავალფეროვან ვორკშოფებს, რომლებზეც დასწრება ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

– ფესტივალის საშუალებით პუბლიკა გაიცნობს და გაითავისებს ქართული ხელოვნების უნიკალურობას და საზოგადოებასთან ერთად შეიქმნება ჰოლანდიურ-ქართული ადგილობრივი დრო, – ამბობს ბადრი თოიძე.

ფესტივალი იბერია 2012-ის გეოგრაფიული მასშტაბი გაფართოებულია. ტრადიციულად ქალაქი ლეიდენი ფესტივალის მთავარი მასპინძელია, აქ დაიწყება ქართული კულტურის დღეები, რომელიც კეუკენჰოფის ტიტების ბაღის ულამაზეს გარემოში გაგრძელდება და შემდეგ რომანტიკული კუნძული ტექსელი.

– წლეულს როგორც ჰოლანდიელი, ასევე ქართველი სტუმრებისათვის არჩევანი მრავალფეროვანია. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია ქართული პოლიფონიური სიმღერის სამი კონცერტი, რომელიც, პირველ რიგში, პუბლიკის მოთხოვნით იმართება. კონცერტს წარმოადგენს ქართული სიმღერის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“. მოეწყობა ქართველი მხატვრების, ფოტოგრაფების და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა გამოფენები ლეიდენის გალერეებში. დაგეგმილია პოლიფონიური სიმღერისა და დოლზე დაკვრის შესწავლის ვორკშოფები. ამასთანავე ფესტივალის დღეებში სტუმრებს ელით უამრავი სიურპრიზი. ერთ-ერთი სპეციალური პროექტი ფესტივალის გამოფენის ფარგლებში, საქართველოს პირველი ლედის სანდრა ელისაბედ რულოვსის უშუალო ინიციატივით მომზადდა – აწ გარდაცვლილი ახალგაზრდა ქართველი მხატვრის პაატა ყუფარაძის სიურეალისტური და ექსტრაორდინალური ნამუშევრები ფესტივალის გამოფენის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, – აცხადებს ბადრი თოიძე.

ამ მნიშვნელოვან ფესტივალთან და ანსამბლ „რუსთავის“ ნიდერლანდებში გასტროლთან დაკავშირებით ანსამბლის ოფისში საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა, ანსამბლის დირექტორმა ბადრი თოიძემ და ანსამბლის წევრებმა ისაუბრეს.

– ჩვენთვის ნებისმიერი გასტროლი საკმაოდ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ფესტივალს სულ სხვა დატვირთვა აქვს. მივესალმებით იმ ფაქტს, რომ ფესტივალზე ქართული კულტურის პოპულარიზაციაა მთავარი პრიორიტეტი და ჩვენც, ჩვენი მხრივ, ყველაფერს გავაკეთებთ ქართული პოლიფონიის საკადრისად წარმოსაჩენად, – აღნიშნავს ანსამბლის დირექტორი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ლეიდენის უნივერსიტეტის და საქართველოს საელჩოს თანამშრომლობით შედგება ლეიდენის უნივერსიტეტში ქართული ენის, კულტურისა და საზოგადოებათმცოდნეობის კათედრის გახსნა.

– ჩვენი ფესტივალი ოფიციალურად 23 მარტს იხსნება. ქართული ფერები და ხმები, გახსნის ცერემონია, სპეციალური სტუმრები, მათ შორის საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოვსი და სხვადასხვა შთამბეჭდავი მოვლენები ერთობლივად შექმნის საქართველოს ადგილობრივ დროს, – განმარტა ბადრი თოიძემ.

# ნინო ანანიაშვილის საიუბილეო დღეები

დასაწყისი მე-8 გვერდზე

წლის იუბილე ამით არ დასრულებულა – ივნისში ქართულ საბალეტო დასს იაპონიაში ერთთვიანი გასტროლი ელოდება, ქართველი პრიმა ბალერინას იუბილე კი ტოკიოში დაგვირგვინდება.

**ნინო ანანიაშვილი, ბალერინა:**

– ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ. თავი ამერიკაში, მეტროპოლიტენ ოპერაში მეგონა. საოცრად ემოციური საღამო იყო. ეს ჩემს ცხოვრებაში პირველად მოხდა და ისიც თბილისში. იმედი მაქვს, რომ ეს საღამო მაყურებელსაც ისე დარჩება მეხსიერებაში, როგორც მე. რა უნდა ვუსურვო და ვიოცნებო იმ პატივზე უფრო მეტი, რაც მე დამდეს. ეს არის ის ბედნიერება, ჩემი შრომის დაფასება, რაც მე წლების განმავლობაში გავწიე. დიდი მადლობა ყველას, ვინც ელემენტარულად გვერდში დამიდგა და დამეხმარა. მგონია, რომ ამით მარტო მე კი არ მივიღე საჩუქარი, არამედ იმ მაყურებელმაც, რომელიც კონცერტზე მოვიდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არაჩვეულებრივი ტაშით დაგვაჯილდოვეს.

**მარგარეტ ვილისი, ბალეტის კრიტიკოსი:**

– ნინო ანანიაშვილი 16 წლის ასაკში გავიცანი და მას შემდეგ თვალს ვადევნებ მის მოღვაწეობას. ის ისევ ისეთი განუმეორებელი მოცეკვავეა, საღამოც არაჩვეულებრივი იყო, რომელიც მეგობრობის და სიყვარულის გამოხატულების ნამდვილ ზეიმად იქცა. ვულოცავ ნინოს შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს და მინდა კიდევ დიდხანს დავაკვირდე მის მოღვაწეობას.

**კევინ მაკკენზი, ამერიკული ბალეტის თეატრის ხელმძღვანელი:**

– ვუყურებ ნინოს და ვფიქრობ, რთულია წარმოვიდგინო, რომ უკვე 30 წელი გავიდა. ეს ადვილი არ არის, ნინო ისევ შეუდარებელია და მჯერა, რომ ისევ ასე იქნება. რაც შეეხება საღამოს, ნამდვილად ემოციური, შთამბეჭდავი და არაჩვეულებრივია. თქვენს ქვეყანაში სიამოვნებით ჩამოვალ, მომწონს, რომ ქართველებს საბალეტო ხელოვნება ასე გიყვართ.

**ჯანლუკა მარჩიანო, დირიჟორი:**

– ემოციური, ფანტასტიკური და ამაღელვებელი კონცერტი იყო. ნინო ანანიაშვილი შეუდარებელია. დიდი ხანია ასეთი არაჩვეულებრივი კონცერტისთვის არ მიდირიჟორია. ვულოცავ ნინოს იუბილეს და იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი შემოქმედებითი გზები კიდევ არაერთხელ გადაიკვეთება.

**ანდრეს ლიეპა, მოცეკვავე:**

– ნინა გენიალური ბალერინაა. ის დღესაც არაჩვეულებრივ ფორმაშია. ეს დღეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა. მიხარია, რომ მისი პარტნიორი ვიყავი სცენაზე. მისთვის სცენაზე მოღვაწეობის 30 წლის იუბილე რომ არ მიგველოცა, ნამდვილად წარმოუდგენელი იქნებოდა, თანაც არაჩვეულებრივი საღამოა, თბილისში მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები შეიკრიბნენ. კიდევ ერთხელ ვულოცავ ნინას იუბილეს და მინდა, რომ დიდხანს იდგეს სცენაზე და გააოცოს ყველა.

**დენის მატვიენკო, კიევის საბალეტო დასის ხელმძღვანელი:**

– არაჩვეულებრივი საღამოა, ნინო ისევ ბრწყინავს, ის მართლა ლეგენდაა, პუბლიკა შოკშია, რეპერტუარიც საკმაოდ ორიგინალურად არის შედგენილი – თანამედროვე და კლასიკური ცეკვები არაჩვეულებრივად იყო შეზავებული. ნინო კი ყველგან იყო, ამდენი თაობა მოდის ბალეტში, მაგრამ ნინო სულ არის.

სერგეი ფილინი, მოსკოვის დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:

– მქონდა ბედნიერება, 20 წლის განმავლობაში ნინოსთან ერთად დიდ თეატრში მეცეკვა. ვამაყობ, რომ ნინო ისევ ისე ცეკვავს და სცენაზეც თავს თავისუფლად გრძნობს. ნინო რომ სცენაზეა, ეს მაყურებლისთვის დიდი ჯილდოა. მე კი ბედნიერი ვარ, რომ ის ჩემი მეგობარია.

**ირმა ნიორაძე, ბალერინა:**

– კიდევ ერთხელ სულითა და გულით ვულოცავ ჩემს საყვარელ ნინოს ამ იუბილეს. ის რომ არაჩვეულებრივი მოცეკვავეა, ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. ნინო არის ბალერინა, რომელსაც ტოლი არ ჰყავს. 30 წელი იდგე სცენაზე და თან ყოველთვის იყო სათანადო ფორმაში, ეს ნამდვილად დიდი გმირობაა და ეს მარტო ნინო ანანიაშვილს შეუძლია. მისი შემოქმედება ჩემთვის ყოველთვის იყო სამაგალითო, არის და დარჩება.

ვიქტორია ჯაიანი, ბალერინა:

– შესანიშნავი საღამო იყო. ჩემთვის და ჩემი მეუღლისთვის ნამდვილად დიდი პატივია, რომ მოგვიწვიეს ნინო ანანიაშვილის შემოქმედებითი იუბილეს გალაკონცერტზე. ბევრი ვარსკვლავი იყო სცენაზე, ქართული დასიც მშვენივრად გამოიყურება. მიხარია, რომ თბილისში ვართ და მე და ჩემმა მეუღლემ მონაწილეობა მივიღეთ ამ შესანიშნავ საღამოში.

**მაია მახათელი, ბალერინა:**

– დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ნინოს, რომ მე და ჩემს ძმას დავითს მოგვცა საშუალება სამშობლოში ჩამოვსულიყავით და მის იუბილეზე გვეცეკვა. ის ნამდვილად დიდი ბალერინაა და 30 წელი ბალეტში ასეთი წარმატებით მოღვაწეობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ვულოცავთ ქალბატონ ნინოს შემოქმედებით იუბილეს და კიდევ არაერთ წარმატებას ვუსურვებთ.

**ელენე გლურჯიძე, ბალერინა:**

– საოცრად აღელვებული და ბედნიერი ვარ, უჩვეულო და ემოციური საღამოა. დაუჯერებელია, რომ 30 წელია ნინო ანანიაშვილი ცეკვავს, თუმცა ისეთ ფორმაშია, ასე მგონია, კიდევ 30 წელი იცეკვებს. ვულოცავ სულით და გულით და მინდა შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვო.

# საპარლამენტო უმრავლესობა ოპოზიციის მიდგომებით უკმაყოფილოა

საპარლამენტო უმრავლესობა გუშინდელ დებატებზე ოპოზიციის ხედვებით და მიდგომებით უკმაყოფილოა.

როგორც ნუგზარ წიკლაურმა დღევანდელ რიგგარეშე სხდომაზე გამართული დებატებისას განაცხადა, გულის სიღრმეში იმედი ჰქონდა, რომ დღეს გულწრფელი მსჯელობა გაიმართებოდა იმ საკითხების შესახებ, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას. თუმცა, მისი თმით, პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან მხოლოდ ძალიან ვიწრო ხედვა მოისმინა და მათი ყურადღება მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ საკითხებზე იყო კონცენტრირებული.

დეპუტატის შეფასებით, ოპოზიციის ასეთი დამოკიდებულება ხაზს უსვამს იმას, რომ მთლიანად სამთავრობო კურსისა და ცალკეული უწყებების მიმართულებით, მათ მასშტაბური ხედვა არ გააჩნიათ.

„არ შევეხები იმ პათეტიკურ შეძახილებს შეკითხვის ფორმით და უადგილო მეტაფორებს, რომელიც ამ ადამიანებმა წარმოადგინეს. ასეთი პრიმიტიულ შედარებებს და უმეცრებას არ მგონია, ადამიანებმა რაციონალური არგუმენტები დაუპირისპირონ“, – დასძინა წიკლაურმა.

ინტერპრესნიუსი

# რამდენი ჯარისკაცი მონაწილეობდა 16 მშვიდობიანი ავღანელის მკვლელობაში



ავღანეთის პარლამენტის ინფორმაციით, 11 მარტს მშვიდობიანი ავღანელების მკვლელობაში არა ერთი, არამედ 20 ამერიკელი ჯარისკაცი მონაწილეობდა.

ამის შესახებ ჩინური მედია ავღანეთის საპარლამენტო კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნაზე დაყრდნობით იუწყება, რომელიც ინციდენტს იძიებდა.

კომისიის დასკვნით, აქცია დაგეგმილ ხასიათს ატარებდა და მასში 15-დან 20-მდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა, რომლებიც ავღანელების სახლებს ორ ჯგუფად გაყოფილი დაესხნენ თავს.

ამასთან, მასში ასევე ნათქვამია, რომ ჯარისკაცებმა ორი ქალი სიკვდილამდე გააუპატიურეს. გარდა ამისა, ინციდენტის რაიონში ორი ამერიკული და ერთი სამხედრო ვერტმფრენი მონაწილეობდა.

შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ინფორმაციით, 11 მარტს ამერიკელმა ჯარისკაცმა სამხედრო ბაზა დატოვა და მშვიდობიან მოსახლეობას თავს დაესხა. სროლების შედეგად 16 მშვიდობიანი ავღანელი იქნა მოკლული. ამერიკელი სერჟანტი რობერტ ბეილსი, რომელიც მკვლელობაშია ეჭვმიტანილი, კანზასის შტატში მდებარე ბაზა ფორტ-ლივენუორტის სამხედრო ციხეში გადაიყვანეს. მანამდე კი, ბეირლსი ავღანეთიდან ქუვეიტში იყო გადაყვანილი.

ოფიციალური ქაბული მოითხოვს, რომ ამერიკელი სამხედრო ავღანეთის სასამართლომ გაასამართლოს.

ქვეყნის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ დაღუპულების ნათესავებთან განაცხადა, რომ აშშ-ს მკვლელობის გახმაურებული საქმის გამოძიებაზე თანამშრომლობა არ სურს.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*



[illegible]

**შვეულად**: 2. სამგზავრო ავტობუსების მწარმოებელი უნგრული ფირმა; 3. უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში; 4. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. თბილ ქვეყნებში გავრცელებული მარადმწვანე მცენარე; 6. ძვირფასი ქვა, ძალზე მტკიცე მინერალი; 8. შუა აზიაში გავრცელებული ველური ვირი; 11. კედელზე გასაკრავი მოხატული ქაღალდი; 14. ფრინველთა შემსწავლელი ზოოლოგი; 15. მწვერვალი კავკასიონზე; 16. ქართველი პოეტი ქალი; 17. სამიჯნურო ხასიათის ოთხსტრიქონიანი სპარსული ლექსი; 19. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 21. ავსტრალიური ველური ძაღლი; 22. მიქელანჯელოს ქანდაკება.

**თარაზულად**: 1. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრი; 5. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 7. მდინარე ზუგდიდში; 9. ქართველი მგოსანი; 10. ჩირაღდანი ანუ ...; 12. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 13. უღელტეხილი კავკასიონზე; 16. გულიანი კანფეტი; 17. სუსტი არაყი; 18. საშობაო სიმღერა; 20. მდინარე ვაშინგტონში; 22. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 2„. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი პაიკის ან ფიგურის შეწირვით; 24. თურქი ჯარისკაცი; 25. მდინარე ინდოეთსა და პაკისტანში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

[illegible]

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხულო; 2. წრუტო; 2. აგუტი; 4. რენტა; 5. ლუხუნი; 6. გაგარინი; 8. ტრანსაქცია; 10. ქსენოფილია; 11. ნორმანები; 14. პუშერი; 15. ჟაკარი; 16. დანტე.

**თარაზულად:** 1. ხატწერა; 4. როლგანგი; 7. ლოლუა; 9. „ციცქა“; 12. ფირუზი; 13. მანგო; 14. პარიკი; 17. ოქსინო; 18. ტოლერანტობა; 19. „მარტინი“; 20. ძეწკვი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. მხედარი; 3. ნუვორიში; 4. აკვალანგი; 5. წალკა; 6. იარუსი; 8. რაუნდი; 11. კეტჩერი; 14. იმპიჩმენტი; 15. ჟანგბადი; 16. კორონაცია; 17. „პანედა“; 19. ლივადია; 21. პანდა; 22. ლახტი.

**თარაზულად:** 1. ამუნიცია; 5. წავი; 7. ბერდია; 9. ფეტვიაშვილი; 10. რეკრუტი; 12. ესტრადა; 13. ბენზინი; 16. კარავაჯო; 17. პაბი; 18. ალუჩა; 20. ანჩელოტი; 22. ლუარა; 23. კათედრა; 24. ცაცხვი; 25. დიეტა.

# რატომ იზრდება რუსეთის სამხედრო კონფლიქტებში ჩათრევის რისკი



რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის განცხადებით, ქვეყნის შეიარაღებული ძალების რეფორმირება, პრაქტიკულად, დასრულებულია.

ამის შესახებ მედვედევმა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე განაცხადა.

— მინდა აღვნიშნო, რომ შეიარაღებული ძალების რეფორმირება, პრაქტიკულად, დასრულებულია. ნაწილთა და შენაერთთა უმრავლესობა მზადაა, მოკლე ვადებში საბრძოლო ამოცანების შესრულებას შეუდგეს, — განაცხადა მედვედევმა.

თავის მხრივ, რუსეთის თავდაცვის მინისტრ ანატოლი სერდიუკოვის თქმით, „რუსეთის სამხედრო კონფლიქტებში ჩათრევის რისკი იზრდება".

როგორც სერდიუკოვმა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე განაცხადა, სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში დაძაბულობა რუსეთის სხვადასხვა სამხედრო კონფლიქტებში ჩათრევის რისკს ზრდის.

— ბოლო ათწლეულის განმავლობაში რუსეთის სამხედრო უსაფრთხოების საფრთხის სპექტრი გაფართოვდა. გაჩნდნენ ძალთა ახალი ცენტრები, რომლებიც რეგიონული ლიდერობის მსურველნი და რუსეთისთვის სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობის წყარონი არიან.

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გლობალური სისტემის განთავსება შექმნილ ბალანსსა და, მთლიანობაში, სტრატეგიულ სტაბილურობას მნიშვნელოვნად არღვევს. ჩვენი საზღვრების პერიმეტრზე დაძაბულობის ესკალაციის ტენდენცია რუსეთის სხვადასხვა სახის სამხედრო კონფლიქტში ჩათრევის რისკს ზრდის, — განაცხადა სერდიუკოვმა.

აშშ-სა და ნატოსთან ურთიერთობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, სტრატეგიული უსაფრთხოების საკითხში რუსეთი მაინც საკუთარ აზრზე რჩება — დასავლეთის სამხედრო ალიანსს ის თავის ერთ-ერთ უმთავრეს პოტენციურ მოწინააღმდეგედ მიიჩნევს.

მეტიც, რუსეთის გენერალური შტაბი ცოტა ხნის წინ ღიად ალაპარაკდა დასავლეთთან ფართომასშტაბიანი ომის მაღალ ალბათობაზე, რის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად რუსი სამხედრო სტრატეგები ბალტიის ზღვის ქვეყნებისა და საქართველოს ანტირუსულ პოლიტიკას მიიჩნევენ. რამდენიც არ უნდა გადატვირთოს დასავლეთმა ურთიერთობა რუსეთთან და რამდენი ქათინაურიც არ უნდა თქვას ნატომ ავღანეთისათვის განკუთვნილი სამხედრო ტვირთებისათვის რუსეთის სატრანსპორტო დერეფნის გამოყენების გამო, სტრატეგიული უსაფრთხოების საკითხში რუსეთი მაინც საკუთარ აზრზე რჩება.

— გარკვეულ პირობებში მე არ გამოვრიცხავ, რომ ლოკალური და რეგიონული შეიარაღებული კონფლიქტები გადაიზარდოს მსხვილმასშტაბიან ომში, მათ შორის, ბირთვული იარაღის გამოყენებით, — განაცხადა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა მაკაროვმა.

რუსმა გენერალმა იქვე დასძინა, რომ ეს საკითხი საგანგებო საუბრის თემაა: „დოქტრინაში ყველაფერი გაწერილია, თუ როდის უნდა გამოვიყენოთ ბირთვული იარაღი და დოქტრინით ვიხელმძღვანელებთ".

რუსეთის გენშტაბის უფროსის განცხადებას „ავისმომასწავებელი" უწოდა რადიო „თავისუფლების" რუსულ სამსახურთან საუბარში „ფაინენშელ ტაიმსის" ყოფილმა კორესპონდენტმა დევიდ სატერმა, რომელიც რუსეთის საქმეების სპეციალისტად ითვლება.

— ვფიქრობ, რომ ეს რუსეთის თვითდამკვიდრების კიდევ ერთი მაგალითია. მისი პრეტენზიაა იმაზე, რომ ის არის ძალა, რომელსაც აუცილებლად უნდა გაუწიონ ანგარიში, რომ იგი იტოვებს უფლებას, ჩაერიოს თავის საზღვართან არსებულ ნებისმიერ რეგიონულ კონფლიქტში, — აცხადებს დევიდ სატერი და დასძენს: „გენერალ მაკაროვის თეზისი იმაზე, რომ რუსეთი შესაძლოა ჩართული აღმოჩნდეს კონფლიქტებში მის საზღვრებთან, მე გაცილებით უფრო „ავისმომასწავებლად" მიმაჩნია".

რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის განცხადება ამერიკულმა საინფორმაციო სააგენტოებმა აღიქვეს, როგორც დასავლეთის გაფრთხილება იმ გეგმის გამო, რომელიც ალიანსს აქვს უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების თვალსაზრისით. პერსპექტივაში, რუსეთის გენშტაბი ასევე არ გამორიცხავს, რომ რუსეთი ჩაბმული აღმოჩნდეს საომარ მოქმედებაში, თუკი „ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პოტენციალის ზრდის პრობლემა გადაიჭრება ძალისმიერი ზემოქმედებითა და აშშ-ის დახმარებით". '

დევიდ სატერის თქმით, ვაშინგტონში მაკაროვის განცხადება ნეგატიურად იქნება აღქმული:

— ცხადია, ეს უარყოფითად აისახება ორმხრივ ურთიერთობაზე, ვინაიდან გენერალი შეგვახსენებს, რომ, გარდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული განსხვავებული პრობლემებისა, როგორიცაა ირანის ბირთვული პროგრამა და მუქარა ჩრდილოეთ კორეის მხრიდან, ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ასევე რუსეთის არაპროგნოზირებადი საქციელი. ყველაფერი ეს არ უწყობს ხელს საერთაშორისო სტაბილურობის შენარჩუნებას.

რუსეთის ამ არაპროგნოზირებადობას ემატება რუსი გენერლების საკმაოდ უცნაური რეკომენდაციები. გასული წლის სექტემბერში გენერალმა მაკაროვმა ეგვიპტის, ტუნისისა და ლიბიის რევოლუციების ანალიზის საფუძველზე განაცხადა, რომ ქვეყნის არმია არა მხოლოდ სახელმწიფოს საზღვართან ომისათვის უნდა ემზადებოდეს, არამედ შიდა დესტაბილიზაციის აღსაკვეთადაც.

— რუსეთის არმიაში გაიზრდება სნაიპერების რაოდენობა, რადგან ასეთი ქვედანაყოფები აქტუალურია ქალაქში ბრძოლების დროს, — განაცხადა რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა. მაგრამ, თუკი შეიძლება ვილაპარაკოთ გენერალ ნიკოლაი მაკაროვის ანგარიშის რაიმე ღირსებაზე, ეს რუსეთის არმიის ბრძოლისუნარიანობისა და მისი სამხედრო -სამრეწველო კომპლექსის შეულამაზებელი შეფასებაა. რუსული წარმოების ტ-90 ტიპის ტანკები და ნაქები „სმერჩის" ტიპის სარაკეტო-საარტილერიო სისტემა სროლის სიშორით ჩამორჩებიან დასავლურ პროტოტიპებს — ისრაელის ტანკ „მერკავას" და მაღალი მობილურობის საარტილერიო-სარაკეტო სისტემას.

რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის თანახმად, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი არ არის მზად შესაძლო ომისათვის, რის გამოც იარაღის დამამზადებელი საწარმოების მოდერნიზებამდე რუსეთს დეფიციტური საბრძოლო იარაღის შესყიდვა საზღვარგარეთ მოუწევს.

# პარიზის სინაგოგებში მუქარის წერილები მიიღეს



საფრანგეთში, შესაძლოა, არეულობები ისევ გაგრძელდეს.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ პარიზის ზედიზედ ორ სინაგოგაში მუქარის შემცველი წერილები მიიღეს. როგორც ცნობილია, სინაგოგებში ერთნაირი შინაარსის წერილები ორშაბათს დილით მიიღეს.

საფრანგეთის პოლიცია აღნიშნულ ფაქტებს უკვე იძიებს.

გუშინ საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ტულუზაში ებრაულ სკოლაზე თავდასხმის შედეგად ოთხი ადამიანის, მათ შორის ორი ბავშვის დაღუპვა ეროვნულ ტრაგედიად შეაფასა.

სარკოზიმ თავდასხმიდან სულ რამდენიმე საათში მოინახულა მკვლელობის ადგილი: „საშინელებაა! ტრაგედია... არ ვიცი, რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს ამის მიზეზს. ვერაფრით ამიხსნია, როგორ შეიძლება, დახოცო ხალხი სკოლასთან, ებრაელი ბავშვების სკოლაში. ეს ტრაგედიაა..."

ეს მამაკაცი მოტოციკლიდან გადმოვიდა და, როცა სკოლასთან მივიდა, სროლა დაუწყო ყველას...

საფრანგეთის პოლიციის ცნობით, ებრაულ სკოლასთან თავდასხმა მოეწყო იმავე იარაღით, რომელიც გასულ კვირაში იქნა გამოყენებული ორი თავდასხმისას: 12 მარტს დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირმა ჯარისკაცი მოკლა ტულუზაში, 16 მარტს კი კიდევ ორი ჯარისკაცი დაიღუპა და ერთი სერიოზულად დაიჭრა ტულუზიდან 50-მდე კილომეტრში მდებარე სამხედრო ბაზაზე მოწყობილი იერიშის შედეგად. ყველა ამ შემთხვევაში ერთი იარაღი იქნა გამოყენებული. ყველა ამ შემთხვევაში თავდამსხმელი მოტოციკლით გადაადგილდებოდა.

პრეზიდენტმა სარკოზიმ პირობა დადო, რომ ბოროტმოქმედები მართლმსაჯულების წინაშე წარდგებიან.

პროკურორების თქმით, დაწყებულია გამოძიება, ხოლო პრემიერ-მინისტრმა ფრანსუა ფიიონმა გასცა განკარგულება მთელ საფრანგეთში სკოლებისა და რელიგიური შენობების დაცვის გაძლიერების შესახებ.

როგორც ტულუზის პროკურორმა მიშელ ვალემ უთხრა ჟურნალისტებს, შეიარაღებული მოტოციკლისტი ესროდა ყველას — დიდსა და პატარას თავდასხმისას, რომელიც ორშაბათს დილას მოაწყო, უშუალოდ გაკვეთილების დაწყებამდე.

— ეს მამაკაცი მოტოციკლიდან გადმოვიდა და, როცა სკოლასთან მივიდა, სროლა დაუწყო ყველას, ვინც მასთან ახლოს იმყოფებოდა, ბავშვებსა და უფროსებს. ესროდა ბავშვებს, რომლებიც სკოლაში მირბოდნენ, — განაცხადა პროკურორმა.

მისი ინფორმაციით, დაიღუპნენ სამი, ექვსი და 10 წლის ბავშვები. მოკლულია 30 წლის პედაგოგიც. დაიჭრა 17 წლის მოსწავლე.

თავდასხმას უმალვე მოჰყვა რეაქცია უცხოეთიდან. ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ მკვლელობებს უწოდა „საზიზღარი დანაშაული", ევროპის ებრაელთა კონგრესმა — „ბარბაროსობა".

ისრაელის საგარეო უწყების პრესმდივნის განცხადებით, ისრაელს სჯერა, რომ საფრანგეთის ხელისუფლება დანაშაულზე პასუხისმგებელ პირებს მართლმსაჯულებას გადასცემს.

საფრანგეთის სამხრეთში ტერორისტული საფრთხის მაქსიმალური ალისფერი დონე გამოცხადდა.

ტულუზაში დაღუპულ ბავშვებსა და მასწავლებლებს მთელი საფრანგეთი გლოვობს, ათასობით ადამიანი კი დაღუპულთათვის პატივის მისაგებად პარიზის ქუჩებშიც გამოვიდა.

გამოძიება მკვლელობას რასისტულ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულად მიიჩნევს.

# ერაყში ტერაქტების სერია გრძელდება



ერაყში ტერაქტების სერიამ 22 ადამიანი შეიწირა. დაშავებულია 70 ადამიანი. მრავალჯერადი აფეთქებები კირკუკსა და ქერბალაში გაისმა.

ტერორისტებმა მანქანაში გზის პირას ჩამონტაჟებული ბომბები ააფეთქეს. განსაკუთრებული სიძლიერით გამოირჩეოდა ქერბალას აფეთქება, სადაც 9 ადამიანი დაიღუპა და 40-ზე მეტი დაშავდა.

შარშანდელი დეკემბრის შემდეგ, რაც ამერიკელმა სამხედროებმა მთლიანად დატოვეს ერაყი, იქ ტერაქტებმა საგრძნობლად იმატა.

ამას ხელს უწყობს კონფესიურ-პოლიტიკური დაპირისპირება შიიტურ უმრავლესობასა და სუნიტურ უმცირესობას შორის.

ამერიკელების ქვეყნიდან გასვლის მეორე დღესვე ხელისუფლებამ, რომელსაც სათავეში შიიტი პრემიერ-მინისტრი ნური ალ-მალიკი უდგას, დაპატიმრების ორდერი გამოწერა სუნიტ ვიცე-პრეზიდენტ ტარიკ ჰაშემიზე, რომელსაც ბრალად დასდო ტერაქტების ორგანიზება და დაფინანსება.

ამას მოჰყვა პარლამენტის სხდომების ბოიკოტი უმსხვილესი სუნიტური ფრაქციის „ალ-ერაყიას" მხრიდან, რომელსაც სათავეში ნუ- რი ალ-მალიკის კოალიციური მთავრობის ვიცე-პრემიერი უდგას (ერაყში საპარლამენტო მმართველობაა, რეალურად, პირველი პირი პრემიერ-მინისტრია. პრეზიდენტ ჯალალ თალაბანის ნაკლები უფლებები აქვს და ის ნეიტრალური ფიგურაა, ქურთული უმცირესობის წარმომადგენელია).

ვიცე-პრეზიდენტი ტარიკ ჰაშემი ქურთული ავტონომიის ტერიტორიაზე იმყოფება და ადგილობრივი მთავრობა მას ბაღდადში არ გზავნის, ყოველ შემთხვევაში — ამ ეტაპზე.

ტერაქტები, რომლებიც ერაყისთვის უჩვეულო არ არის, ამ ღია დაპირისპირების შემდეგ გახშირდა და ლამის ყოველდღე ხდება. მარტო დეკემბრის განმავლობაში დაახლოებით 50 ადამიანი დაიღუპა, იანვარში აფეთქებებსა და თავდასხმებს ასი კაცი შეეწირა.

დეკემბერსა და იანვარში ტერაქტებს ძირითადად „ალ ქაიდა" აწყობდა, ყოველ შემთხვევაში, თავის თავზე იღებდა.

ცნობისთვის, ერაყმა 1921 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა. 1958 წლამდე ქვეყანას მართავდა ჰაშიმიტების დინასტია (ფაისალ პირველი და ფაისალ მეორე). მონარქიის დამხობის შემდეგ ერაყში რესპუბლიკური მმართველობა დამყარდა. 1968 წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა პარტია ბაასი, რომელმაც

„ანტიიმპერიალისტური კურსი" აიღო და დაიწყო რეფორმების გატარება. 1974 წელს ქვეყნის ჩრდილოეთში გამოცხადდა ქურთისტანის ავტონომია.

1980-88 წლებში ერაყი მონაწილეობდა ფართომასშტაბიან ომში ირანთან, ხოლო 1990 წელს იგი შეიჭრა მეზობელი კუვეიტის ტერიტორიაზე და მოახდინა მისი ანექსია. მხოლოდ საერთაშორისო კოალიციური ძალების აქტიური მონაწილეობით მოხერხდა აგრესიის შედეგების ლიკვიდაცია.

დადგენილია, რომ ირანთან ომში ერაყმა ქიმიური იარაღი გამოიყენა, ხოლო 1988 წელს — ქვეყნის შიგნითა, ქურთების წინააღმდეგ. ამ ომების გამო 1991 წელს გაერომ ერაყის მიმართ საერთაშორისო სანქციები დააწესა, რომელმაც გამანადგურებელი ეფექტი მოახდინა ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობაზე.

ერაყის ჩრდილოეთსა და სამხრეთში შეიქმნა დახურული ზონები, სადაც პატრულირებდა აშშ-ისა და ბრიტანეთის ავიაცია. ჩრდილოეთის დახურულ ზონაში ქურთებმა ავტონომიური რეგიონი შექმნეს.

უკანასკნელ წლებში გაერო ცდილობდა, დაეყოლიებინა ერაყის მმართველი რეჟიმი მასობრივი განადგურების იარაღის მოსპობაზე, მაგრამ უშედეგოდ. 2003 წლის მარტში აშშ-ისა და დასავლური კოალიციის სამხედრო ინტერვენციის შედეგად სადამ ჰუსეინის რეჟიმი ჩამოშორებულ იქნა ხელისუფლებისაგან.

ორი წლის განმავლობაში ქვეყანას მართავდა საოკუპაციო დროებითი ადმინისტრაცია, რომელმაც მოამზადა ერაყის სამოქალაქო ძალებისათვის ხელისუფლების გადაცემის წინაპირობები.

2005 წლის 6 აპრილს ჩატარდა ერაყის ისტორიაში პირველი დემოკრატიული არჩევნები. ქვეყნის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ჯალალ თალაბანი, ქურთი აჯანყებულების ყოფილი ლიდერი.

# მექსიკაში 12 პოლიციელი მოკლეს



მექსიკაში, ჰერეროს შტატში შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა 12 პოლიციელი მოკლეს.

სამართალდამცველები ეძებენ ადამიანის ცხედრებს, რომელთა მოჭრილი თავებიც რამდენიმე დღით ადრე იპოვეს.

როგორც ცნობილია, პოლიციელებს თავს ჩხრეკისას დაესხნენ. მოკლულია 12 სამართალდამცველი, 11 დაჭრილია. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა, კონკრეტული ვარაუდები აქამდე არ დასახელებულა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 21 მარტი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ცხოვრება მშვენიერია **13.50** ვაშინგტონი დღეს **14.30** დოკ. ფილმი "მსოფლიო ქალაქები" **15.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **17.00** ეკონომ მენიუ **18.00** **ფეხბურთი**. საქ. ჩემპიონატი. "დინამო" — "ზესტაფონი" **21.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.00** ევროპული არჩევანი **23.00** ევროკავშირი და საქართველო **23.30** მხ.ფ.**"ნადირობა "წითელ ოქტომბერზე"** (შ. კონერი) **01.45** მოამბე **02.05** მხ. ფილმი **"ავარია"** (12) (კ. რასელი) **03.45** მხ. ფილმი **"ბავშვები პოლში: ბედნიერების აბები"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 14.00** დოკ. ფილმი **16.00, 17.00** დოკ. ფილმი **19.00** სერ. **"ხუთი და"** **20.00** მხ. ფილმი **"კოლდიცი"** **01.00** მხ. ფილმი **"გულგახეთქილი ბიჭი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** ეთამაშე ვარსკვლავს **16.30** სიცილის ზონა **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.30** შერეკილები **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ.**"ღვინის გზა"** მე-8ს. **15.40** ქალური ლოგიკა (გან.) **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** მე-3ს. **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **23.00** პოლიციის აკადემია **00.00** რემონტი **01.00** მხ. ფილმი **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (12) **03.10** მხ.ფ.**"ღვთის გამოგზავნილი"** (15) (გ. კინეარი) **05.30** მხ. ფილმი **"ლომის გული"** (ჟ. ვან დამი)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ. **"ჯაშუში ქალი"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სიამაყე"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00** "დრო" **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **"სენიორა პრეზიდენტი"** **15.15** სერ. **"სიამაყე"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** სცენა **23.40** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება 08.30** განთიადი **10.35** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **11.00** ჩვენი ფონდი **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** დროის ჩანაწერები. **13.20** კონცერტი — ანს. "სახიობა" **14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ. ფილმი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.30** კვირიაკე **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.20** დიდ ხარ შენ უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.30** მხ. ფილმი **"ამაღლება"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **22.25** ქართული ალბომი **22.40** დოკ. ფილმი "საპოვნელა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **00.35** განთიადის სტუმარი **00.55** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **01.35** ერთი დღე მონასტერში

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2
marti


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6678

ევრო —2,2122

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6518

რუსული რუბლი — 0,0561

**დასავლეთ საქართველო:** წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2–4, ღამით — -3–0

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1–5, ღამით — -4 -1

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0–3, ღამით — -5 -2

ამინდის პროგნოზი 21 მარტისთვის

სოხუმი 1-3
ზუგდიდი 1-3
ქუთაისი 2-3
ბათუმი 2-4
გორი 1-3
თბილისი 3-5
გურჯაანი 3-5



# 20 მარტიდან

# ახალ თაობასთან

## ერთად!

## .eh,fy cfblbc

## ცნობილი რომანი

## ფჯპ ლოფ ყბყპ

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# 7 მარტიდან!

ექზრფქეპბ გპჯტმნბ

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის
„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“
21-ე ტომი

# გფუფყბყბ

3!)) ობუყიბ4 იტლბც
ბვ ფლფვბფყსფ ,ბჯუპფაბტ,ბ7
პჯვტჯსფნ ლბლბ hეფჯბ
ლფნჯეტც ვცჯაჯბჯ
გჯჯბნბhფიბ7 ვტნყბტპტ,ფცფ
ლფ hეჯნეპფიბ8

უფპტსბ ლფ ოზუყბ ტპსფლ
* კფპბ



## fcnhjkjubxtcrb ghjuyjpb

@! ვფპნბცსლბც

.ლტჯფვ უფბსლფჯბცობყტს=
ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — ზედმეტი აქტიურობა საჭირო არ არის, ისედაც იპყრობთ ყურადღებას. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ლომი** — ახალი პროექტი მოგეწონებათ, სარფიანი აღმოჩნდება. **ქალწული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** — კარგად დაფიქრდით და გადაწყვეტილება მერე მიიღეთ. **მორიელი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი

**თხის რქა** — ჩაფიქრება კარგია, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **თევზები** — სტუმრები გყავთ და მათი ნახვა გიხარიათ.

უბცეპლტ,ს ,ტლყბტპ ლქტს=

## hპჯცლჯპლბ ფ

**შვეულად**: 1. იაპონური ჭიდაობა; 2. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. იგავ-არაკთა მამამთავარი; 4. წნული ქოხი სამეგრელოში; 5. მდინარე ტოკიოში; 6. კუთხე საქართველოში; 8. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 11. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 14. სამურაბე ლამბაქი; 15. ნიადაგის დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 16. ვულკანიდან ამოფრქვეული სილიკატური მასა.

**თარაზულად**: 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. ამერიკელ კომპოზიტორ იგორ სტრავინსკის ბალეტი; 7. შემწე, მფარველი ადამიანი; 9. საპატარძლოსათვის მირთმეული საქორწინო ნიშანი; 12. რესტორანი საესტრადო წარმოდგენით; 13. ხელოვნური მარმარილო; 14. ქვის, ღორღის დამქუცმაცებელი მანქანა; 17. კურკოვანი ხილი; 18. პირობითი, საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ბარათი; 19. საოქრომჭედლო პატარა გრდემლი; 21. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

